სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 2 ოქტომბერი 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ფულგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ... სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". ... გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 210 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 210

გულდათუთქულნი დედა მარია გიორგის ასული, ძმები: ივანე და გიორგი, რძლები: ტერეზი და მარო, ძმისწულები: დიმიტრი, ლეონიდი, ნინა, ვასო და ლუკა, ბიცოლა ტერეზი, ბიძაშვილები: იაკობ, ნიკო, იოსებ, ვასილ, გუნია, სონა, გოგი, აპოლონ ხავთასნები, რძალი ლიდა ბეჟანის ასული თავართქილაძისა, ბიძები: იოკიმე და ესტატე ლომიძეები მეუღლეებითურთ აუწყებენ ნათესავ ნაცნობებს, რომ 1 ოქტომბერს გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

**ევგენია ლუკას ასული ხავთასი.**

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს, დილ. 10 საათზე (ახ. სტ.) მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან, რუსთაველის ქუჩა, № 26. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე. (2—1)

## კონსერვატორიის დარბაზი

(გრიბოედოვის ქუჩა)

შაბათს, 5 ოქტომბერს — გაიმართება — შაბათს, 5 ოქტომბერს

**გალაკტიონ ტაბიძის**

## პოეზიის საღამო

ბილეთები იყიდება წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში. (5—2)

## სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ლევიცკისა.

ოთხშაბათს 2 ოქტომბერს

## აიდა

ოპერა 4 მოქ. და 7 სურათად, მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობენ: ქ. ქ. შამბერგ, სპატკო, ბ. ბ. კანშინი, პოლიაევი, საბინინი, ორლოვი, ორლიუკი.

დირიჟორი ხტოლერმანი. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კასა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 6 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: 3 ოქტომბერს—„კარმენი", 4 ოქტომბერს—„დუბროვსკი".

## ლატარია

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?!
იყიდე ბილეთი
უხვ მომგებიანი,
იაფი: სულ ოცდა
ხუთ მანეთიანი!
იყავით ესთეტნი,
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო ბრწყინ ვდეს
თქვენი ცა მზიანი!
მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ქვეიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!
იჩქარეთ მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ მომგებიანი!

## აგრარული კანონი

ვინ გინდა ამ კანონს არ აუხირდა. ჩვენი ყოფილი თავადების ორგანო „კლდე" ხომ ყოველ წერილში მის დამაქცეველ თვისებებზე გაჰკივის. ბ. ძ. მაჩაბელი ეროვნულ საბჭოში, რა საგან ხედაც უნდა იყოს მსჯელობა, მაინც ამ 7 მარტის კანონს დაუბრუნდება. პური ძვირია—ეს აგრარული კანონის ბრალია, მანუფაქტურა შემცირდა—ესეც აგრარული კანონის შედეგია. ერთი სიტყვით თავადებს რომ მიწა ხელუხლებლად ჰქონოდათ, საქართველოში ბედნიერება ამოხუხჩუხდებოდა მთის ნაკადულივით: მართალია წინეთ, როცა თავადები ლაღათ ფლობდენ თავის ხვადაბუნებს და გლეხებს ლალის სახით ცხრაკეცე ტყავს აძრობდენ, ბედნიერებისა არა ისმოდარა და ადგილობრივი პურის მაგიერ ყუბანის პურით ვიკვებებოდით. მაგრამ აბა ამაზე ლაპარაკი რათ ღირს?

მთავარი ისაა, რომ უკვე ღვთივ-გან სვენებულმა სტოლიპინმა სთქვა: მემამულეები კულტუროსნობის მატარებელნი არიან სოფელში. და აი ჩვენი ლალის ამკრები თავადებიც ალბათ ასეთ როლს ისაკუთრებენ, თუმცა კულტურისა სოფლათ არაფერი შეუტანიათ სულ უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა.

თვით ყოფილი თავადები დარწმუნებული კილოთი ამბობენ, რომ ეს ჩამორთმევა დროებითია, რომ მისი ვადა სულ ერთი ერთი წელიწადია და შემდეგ მიწა ისევ მათ დაუბრუნდებათ. ამ ნუგეშით უდგათ სული და ეწევიან ინტრიგებს. ყველა, ვისაც დემოკრატიზმის ხსენება არ ესიამოვნება და დემოკრატიული რეფორმა ხელს არ აძლევს, ამ მის წრფებს გამაძლიერებელია.

ზოგნი, როგორც აღვნიშნეთ, ამ მიზნით უცხოელ მისიებსაც კი აუხსნიან ხვეწნა-მუდარით და სამშობლოს და მოუკიდებლობას ისავის შექამანდზე ჰყიდიან.

მაგრამ ჩვენი გლეხობაც არა ნაკლები ძლიერებით ჩაბღაუჭებია მიწას და ცოცხალი თავით მას ხელიდან ვერავინ გამოგლეჯს. იგინი იმითაც უკმაყოფილონი არიან, რომ ჩამომრთმევი კომისია იგვიანებს. იმითაც, რომ მიწა ამ წუთშივე მათ ხელში არ გადადის, რომ საკუთრების საბუთები ჯიბეში არ უდევს. მისი გული მანამდე ვერ დამშვიდდება. ამ რიგათ აქ ნიადაგზე გამწვავებული ძალთა ჭიდილია, რომელშიც მთავრობა და ჩვენი სიმპატია ერთიანათ გლეხების მხარეზეა.

ერთ მუჭა თავადებს ხალხის ინტერესები ვერ შეეწირება მსხვერპლად.

ამ ბოლო დროს კანონს ერთი შემოსავლელი გზა უშოვნეს—ესაა უცხოეთის ქვეშევრდომობა. გერმანელებს ასეთი კანონი არ აქვთ და იმათგან განცხადებაა, რომ მათ ქვეშევრდომთ მამულის კონფისკაცია ე. ი. უსასყიდლოთ ჩამორთმევა დარღვევაა საერთაშორისო უფლებისა, პირველი მიმცემი იყო ტონის.

ახლა გერმანულადაც აპირებს საერთაშორისო ნიადაგზე დადგომას... სომხის ბურჟუაზია და მისი ერთგული შინაყმა დაშნაკცაკანის წარმომადგენელი ცდილობს ამ უცხოელთა ქვეშევრდომობით იხსნას სომხის მემამულენი. აქ ჩვენ არ გამოვუდგებით ამ საკითხის იურიდიულ მხრის განხილვას.

კანონი გამოიცა ამიერ-კავკასიის სეიმის განო. იგი ეხებოდა ყველა ამიერ-კავკასიის მცხოვრებს, სომეხს, თათარს, ქართველს, რუსს. გაყოფა ჩვენი მოხდა შემდეგ და ეს გაყოფა კარგავს თუ არა ამ კანონის ძალას—ეს კიდევ სადაოა. და ამაზე თავი იურისტებმა იტეხონ. ჩვენ კი აქ ამ საკითხის ერთ პოლიტიკურ მხარეზე გვინდა მივუთითოთ. მოთხოვნილება უცხოთა მიწის კონფისკაციის წინააღმდეგ წარმოდგენილია სომხეთის რესპუბლიკის მთავრობისაგან.

ამ რესპუბლიკის შესახებ მისმა წარმომადგენელმა და ადგილობრივმა სომხურრუსულმა პრესამ ყურები გამოგვჭედეს ქებით: ეს უაღრესი დემოკრატიზმით გაჟღენთილი სახელმწიფოა, მისი ხელმძღვანელები ინტერნაციონალისტურ იდეებს ატარებენ და ახორციელებენო. ჩვენს მთავრობას ნაციონალისტობას სწამებდენ მასთან შედარებით. გლეხების მოღალატეობაში ხომ გვდებდენ და გვდებენ ბრალს. ახლა უნდა ვკითხოთ ამ დემოკრატებს—მათმა დემოკრატიზმმა რათ წამოიჩოქა სომხის მემამულეთა ინტერესების წინაშე. აკი დაშნაკელები, რომელნიც სომხის მთავრობის სულის ჩამდგმელნი არიან, გაიძახოდნენ ესერებთან ერთად: „მიწა მიწის მუშასო". ნუ თუ საქართველოში მცხოვრები გლეხი, სომეხი, ქართველი და სხვა—უნდა გამორიცხულ იქნეს ამ პრინციპის გავლენისაგან სომხის მსუქან მემამულის სასარგებლოთ?

ეს რაღა გამოვიდა? მიწა მემამულეს, თუ იგი სომეხიაო. ასეთი ყოფილა ახალი მცნება ამ დიდებული დემოკრატების.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი რამ. იქნება სთქვან, ეს მიწა ჩვენი ქვეშევრდომისაა და უნდა ჩვენმა სახელმწიფომ ისარგებლოსო. ამაზე უნდა მოუახსენოთ ახალ დიპლომატს, რომ ასე მსჯელობა შეფერის კერძო საკუთრების ნიადაგზე მდგომ ბურჟუაზიულ წარმომადგენელს. მარა ინტერნაციონალისტი ამას ვერ გაიზიარებს. მიწას ხომ მეორე სახელმწიფოში ვერ გადავიტანთ. ან ის აქვე უნდა გადავცეთ აქაურ გლეხებს, ან მათ ფულით გადავახდევინოთ სალირალი მიწისა და ამით სული ამოვხადოთ.

ნურავინ იტყვის, გლეხებს თქვენ გსურთ ფული გადაახდევინოთ მიწებშიო. ჩვენ განზრახვა გვაქვს გადავახდევინოთ ჩამორთმევის და სხვა აუცილებელი ხარჯების დასაფარავი, და არა მიწის ღირებულება დავადვათ გლეხებს. ამაში კი დიდი განსხვავებაა. მიწა უფასოთ: ხოლო ხარჯები მაზე გაწეული ანაზღაურებელ უნდა იქნეს. განა სახელმწიფომ, რომელსაც ვალის მეტი არაფერი გააჩნია, რომ ვერ შეძლოს გლეხების თავის ფულით დაკმაყოფილება, და მათვე დაადვას ამ ხარჯების დაფარვა, განა ეს იგივეა, რაც მიწის სრული ფასის მიცემა მემამულესათვის? მაშასადამე, ინტერნაციონალისტ-დაშნაკელებმა ან უნდა თავის ტრაბახზე აიღონ ხელი, ან იმ სომხის მამულებზე, რომელთა დაცვა მათ განუზრახავთ. ჩვენ წინდაწინ ვიცით, რომ პოლიტიკურათ ისინი პირველს აირჩევენ. ინტერნაციონალობა მათ საყვლეპუროთ აქვთ, და არა სამოქმედოთ, მაგრამ დაე სთქვან ეს თავისავე პირით. სთქვან ეს მათმა ორგანოებმა, „ორიზონმა" და „აზატამარტმა". ხალხი დაინახავს მაინც, სადამდე შეუძლია გაძლება მათ ინტერნაციონალისტობას. ხოლო საქართველოს მთავრობა ყოველ შემთხვევაში არ დააკლებს ცდას, რომ საქართველოში მიწის რეფორმა გატარდეს და მიწის მუშამ თავის სანუკვარი მიწა მიიღოს.

## საზღვრების დაცვა

ჩვენი რესპუბლიკა დღეს იმ გაძარცულ სახლს ემზგავსება, რომელსაც ფანჯრები და კარები არ აბადია და ყოველ გამვლელ გამომვლელს შეუძლია შეიაროს და რაც სურს აკეთოს ამ უპატრონო ოჯახში. ზოგან თუ სდგანან სანაპირო რაზმები, ეს იმდენათ უმნიშვნელო ძალაა და მოუწყობელი აპარატია, რომ ჩვენი მტრები მას ანგარიშსაც არ უწევენ. ეს მეტად დიდ საფრთხეს უმზადებს რესპუბლიკის არსებობას. ჯერ ერთი საზღვრების გაშიშვლება ოსმალთა ურდოებს საშვალებას აძლევს გადმოლახონ ჩვენი ტერიტორია, შეიჭრან სოფლებში და მცხოვრებნი სძარცვონ და ააწიოკონ. ასეა, მაგალითად, ჯავახეთის საზღვარზე, სადაც გორის მაზრის ორი სოფელი წითელ საყდარი და მოლითი ჯერაც ოსმალთა ხელშია და რაკი აქ ჩვენ არც ერთი სადარაჯო არ მოგვეპოვება, შეიარაღებული ბრბოები ბაკურიანამდიც კი მოიჭრებიან და ხალს ოთხფეხ საქონელს არ თმევენ. ასევეა მდგომარეობა სხვა ადგილებშიც, ხოლო ქართლის შემოსასვლელ კარებში—აწყურში—იმდენათ მცირე რაზმი გვყავს, რომ მას ვერ მოვთხოვთ საზღვრების სათანადოთ დაცვას. ამავე დროს კი ოსმალთა თავხედობას საზღვარი არ უჩანს. დაწყებული ჩეტნიკებიდან, ვიდრე ასკერებამდე და თვით აფიცრებამდე ჩვენდამი იჩენენ ისეთ მტრულ განწყობილებას, როგორიც შესაძლებელია მხოლოდ საომარი მოქმედების დროს.

მაგრამ ჩვენი უბედურება მარტო ამით არ თავდება. საზღვრების გაშიშვლება გვიმზადებს სახელმწიფოს შიგნით საქმის მეტად გართულებას და, ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს ჩვენ მოწამე შევიქნეთ უფრო ძლიერი ანარქიის, ვინემ ეს იყო ახლო წარსულში. მე მოგახსენებთ ოსმალეთის აგენტების თარეშზე. რესპუბლიკაში შემოსულ პირთ არ ვსთხოვთ სათანადო კეთილსაიმედობას, ამისთვისაც არის ბევრი ამბოხებათა მომწყობნი დაპყრობილ ადგილებში, დღეს ჩვენს ქვეყანაში თავისუფლად დათარეშობენ და ბნელ საქმეებს აკეთებენ. ერთ ერთი პოლკოვნიკი, რომელიც აწყურთან ჩვენი ჯარის წინააღმდეგ ჩეტნიკებს ხელმძღვანელობდა, დღესაც თფილისში დაბრძანდება. იყო შემთხვევები, როცა ახალციხეატრიდან მიდიან მოღალატე მაჰმადიანები, დაყოფენ ერთ ორ კვირას ჩვენს ქვეყანაში, მიემგზავრებიან შემდეგ ადერბეიჯანში და ისევ თავისუფლად ბრუნდებიან სამშობლოში. ყველა ისენ ღებულობენ „პროპუსკებს" და დათარეშობენ ისე, როგორც მათ სურთ.

ამავე დროს კი, ისედაც ლტოლვილებით ავსილი რესპუბლიკა, დღითი დღე კიდევ უფრო ივსება სხვადასხვა კუთხიდან გადმოხვეწილებით. თვით ოსმალნი კი ჯერ არავის არ უშვებენ თავის ტერიტორიაზე. მაგალითად, ახალციხიდან ყოველ დღე მიდიან ურმები და ლტოლვილები, უკან კი ოსმალნი არავის აბრუნებენ. მათ კარანტინისსახით აქვთ ნამდვილი საწამებელი ჯოჯოხეთი, რომელშიდაც აქედან მისულებს ორი კვირით სტანჯავენ აქ, რომ ამით გაკვეთილი მისცენ სხვებს და არ გაბედვინონ მათ ტერიტორიაზე ფეხის დადგმა, ასე მოექცენ ახალციხეში ჩვენი მთავრობის მიერ აბასთუმანში გაგზავნილ მიმღებ კომისიას, რომელსაც თვით ოსმალეთის მისიიდანაც ქონდა სათანადო მოწმობა. ჩვენში კი ოსმალთა ასკერები და აფიცრები, თვით მოღალატე ბეგები, დიდის პატივისცემით დაბრძანდებიან და გამკითხავი კი არსად არის.

სამხედრო უწყებაში კი სავსეა პროექტები და დამტკიცებული კანონები სანაპირო რაზმების შესახებ. იხარჯება აურებელი თანხა და თვით რაზმები კი არსად სჩანს. სახელმწიფო სავსეა მოწინააღმდეგე ქვეყნის სამხედრო ჯაშუშებით, მათთვის ღიაა კარები, ყოველი კუთხიდან დამშეული და გაძარცული ლტოლვილები აქეთ მოეშურებიან, არ ვიცით რა საქონელი გადის და შემოდის ჩვენს ქვეყანაში. ერთი სიტყვით ჩვენი ოჯახი ღია ცის ქვეშაა, რომელშიც უკითხავათ მოდიან და მიდიან ვისაც მოესურვება.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია, მთავრობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა რესპუბლიკა გაწმენდილ იქნეს უცხო ქვეყნების სამხედრო ჯაშუშებისაგან და მომავალში მათთვის ჩვენი ქვეყნის კარები უნდა დაიკეტოს.

თუ დროზე ვერ შევქმნით რეგულიარულ სანაპირო რაზმს, მაშინ უნდა მივმართოთ სხვა ზომებს, თუნდ ამისთვის საჭირო დარჩეს ზედმეტი ხარჯები. ჩვენ კი გვგონია, რომ ის თანხა, რაც ეხლა იხარჯება ამ საქმისთვის მოაწყობს თუნდ დაქირავებულ რაზმებს და მაშინ სანაპირო პოსტები მაინც გვეყოლება, რომელიც არ მიიღებს „დაუპატიჟებელ სტუმრებს" და რესპუბლიკას იხსნის მომავალ ანარქიისაგან.

## პრესა

ბ-ნი პ. გოთუა თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანია. ამიტომ იგი მისი სიწმინდის მცველად გამოდის. ჩვენ აბა ამის საწინააღმდეგო რა გვაქნება?

ქალაქის ხმოსნები უნდა იყონ საქართველოს ქვეშევრდომებიო, ბრძანებს პ. გოთუა. სრული ჭეშმარიტებაა.

„ქალაქის საბჭოს ხმოსნების უმრავლესობას თფილისი ინტერნაციონალურ ქალაქად მიაჩნია და ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ საქართველოს დედა ქალაქი გამოაცხადონ საქართველოს რესპუბლიკაში დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

ეს არც გასაკვირველია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რა პირობებში და როგორ შედგა თფილისის საბჭო და რა ელემენტები არიან იქ თავმოყრილნი.

დღესაც ჩვენი დედა ქალაქის საბჭოსა და გამგეობაში საქმის წარმოება და ბეჭდვა უცხო ენაზე სწარმოებს და როდესაც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელმა იქ ქართულად ხმა ამოიღო, სიცილიც და აყარეს.

ხმოსანთა რიცხვში ითვლებიან უცხო ქვეყნების ქვეშევრდომნი, რომელნიც საქართველოს თავისუფლების მტრები იყვნენ და ახლაც მოწინააღმდეგენი არიან.

საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ დემონსტრაციები, ჩვენი მთავრობის გალაშქრებები და დაცინვით მოხსენიება, ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთ გამოსვლებში ბევრი ხმოსანი ხშირად დიდ თავხედობას იჩენს და პოლიტიკურ აგიტაციას ეწევა". („საქ." № 482).

ბ-ნ გოთუას მიერ აღნიშნული ფაქტი სინამდვილისაგან დაშორებული არ არის. ჩვენს ქალაქის ხმოსანთა შორის ბევრია ისეთი, რომ ჩვენს პოლიტიკას არ იზიარებს და საქართველოს დამოუკიდებლობა თვალში ეჩხირება. მაგრამ ერთი რამ უნდა მაინც შევნიშნოთ ბ-ნ პ. გოთუას. მან ეს საკითხი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის დღესაც წამოაყენა. მაგრამ წამოაყენა ზოგადათ: ისეთი პირის დასახელება, რომელიც ქვეშევრდომი არ არის, მაგრამ თანამდებობაზე კი რჩება არ აღუნიშნავს. შეიძლება იყონ ასეთი ხმოსნები. და სანამ ქვეშევრდომობის კანონის გატარება პრაქტიკულად არ განხორციელებულა, ისინი დარჩებიან კიდეც. ხოლო რაც შეეხება იმ მავნე პოლიტიკას, რომელსაც ზოგიერთი ხმოსნები აწარმოებენ, უნდა გავახსენოთ ბ. პ. გოთუას, რომ ის ესერები, რომელნიც ყველაზე მეტად გაცხარებული ეკვეთებიან ჩვენს მთავრობას უდაო მოქალაქენი არიან ჩვენი რესპუბლიკის.

რწმენისათვის მათი ხმოსნობიდან გამორიცხვა ჩვენ დაუშვებლათ მიგვაჩნია.

სასამართლოსთვის ხელმისაკიდი დანაშაული მათ არ ჩაუდენიათ. ხოლო მათი პოლიტიკური კამპანიის წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს ენა, პრესა და რაც მთავარია საშვალება ფაქტით, შემოქმედებით დავამტკიცოთ სისწორე ჩვენი ხაზის ამ მხრით. თვით ბ. პ. გოთუაც უნდა დაგვეთანხმოს, რომ ხალხში ამ ხმოსანთა მიმდინარეობის გავლენა იმდენად დაკნინებულია, რომ რუსის უდგილო ჩინოვნიკების წრეს არ გასცილებია.

და განა ეს კი მათთვის მცირე სასჯელია?

## რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა

26 სექტემბერი.

საექიმო სასანიტარო საქმის შესახებ მოხსენებას აკეთებს ნინუა. ეს საკითხი რკინის გზელებისათვის არის მეტათ მწვავე საკითხი, დღემდე ამ დარგში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, არავითარ რეორგანიზაციას ადგილი არ ჰქონია, დღემდის შენახულია ნიკოლოზის დროის წესები, ძველი მთავრობის დაყენებული პირები დღესაც ადგილზე არიან დატოვებული. საჭიროა ერთსულოვნებით იმ ციხის აღება, რომელსაც ეწოდება საექიმო სასანიტარო ნაწილი გზაზე. ყველასათვის ცხადია, რომ სავადმყოფო, სასანიტარო საქმე მოსამსახურეებისთვის არის დაწესებული, ნამდვილათ კი ეს დაწესებულება გადაიქცა ექიმების სათარეშო დაწესებულებათ. ექიმები იღებდენ ხედველობაში რკინის გზის მოსამსახურის ტკივილებს კი არა, არამედ სამსახურის საფეხურს, სამსახურში მდგომარეობას და იმის მიხედვით სწამლობდენ, ასე იყო რევოლუციამდე, უკანასკნელმა კი შეძლება მისცა მოსამსახურეებს ხმა აღემაღლებინათ და მოეთხოვათ, რომ ყველა ამ უკანონობას, რასაც ადგილი ჰქონდა უნდა მოსპობილიყო. საავადმყოფოს მოსამსახურეებმა დაავალეს ექ. მუსხელიშვილს, რომ მას მათი მოთხოვნილებანი გაეტარებინა ცხოვრებაში—უკანასკნელი ამ მოთხოვნილებას სიცილით შეხვდა და ექიმების გაფიცვით დაემუქრა. ყრილობის დადგენილებით საექიმო სასანიტარო საქმე კავშირის ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ ჯარის დემობილიზაციამ და სხვადასხვა საჭირო საქმემ დროებით მიავიწყა კომიტეტს ეს საქმე. ბოლოს კომიტეტმა დანიშნა კომისარი. საჭირო იყო შტატების შეცვლა, საქმის სრული რეორგანიზაცია. ექიმები კომისრის დანიშვნას ცუდის თვალით შეხვდენ, გამოსთქვეს პროტესტი, რადგანაც დაინახეს ამ დანიშვნაში მათდამი უნდობლობა. რეორგანიზაცია ტარდებოდა თანდათანობით. საავადმყოფოს გამგეს ჩამოერთვა მოსამსახურეების დათხოვნა მიღების უფლება. ეს უფლება გადავიდა მთავარ კომიტეტის ხელში. ჯერი მიდგა ექიმებზე. აქ ჩვენ გადაგვეღობა წინ ექიმების პროფესიონალური კავშირი, რომელიც არსებობდა რკინის გზის საერთო კავშირთან განცალკევებით.

ეს კავშირი მოითხოვდა, რომ ექიმების მიღება დათხოვნა უნდა ყოფილიყო ექიმების ხელში. გზათა მთავარი კომიტეტი ვერ დაეთანხმა ამ მოთხოვნილებას და დაიბადა უთანხმოება ჩვენსა და მათ შორის. მომხსენებელი აღნიშნავს ყველა იმ უწესობებს, რომლებსაც ექიმები სჩადიოდენ; დიდი უთანხმოება მოხდა საექიმო სასანიტარო უფროსის თანამდებობის დანიშვნის დროს. დემოკრატ ექიმების ჯგუფმა წამოაყენა ამხ. რუხაძის კანდიდატურა ამ კანდიდატურაზე შეჩერდა გზათა მთავარი კომიტეტიც, ვინაიდან ექიმი რუხაძე თავის მეცნიერულ მომზადებით და პრაქტიკით შეეფერებოდა ამ თანამდებობას. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია დიდი პროტესტი, როგორც რკინის გზის ექიმების მხრით, აგრეთვე სხვა რკინის გზის გარეშე ექიმების ორგანიზაციებისაგან. რუხაძის პიროვნების გარშემო ასტეხეს განგაში, რამაც იძულებულ ჰყო იგი უარი ეთქვა ამ თანამდებობაზე. მას შემდეგ, რაც საექიმო ნაწილი გადავიდა კავშირის ხელში, ბევრი ცვლილება მოხდა და საქმეც უკეთ მიდის. ბევრი სისაძაგლე იქნა მოსპობილი და აღმოფხვრილი. მომხსენებელი კითხულობს საექიმო სასანიტარო საქმის კავშირის ხელში გადაცემის კანონ-პროექტს: იწყება კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გოგიშვილმა, მალანიამ, სიხარულიძემ, წილოსანმა და სხვ. მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ კრება იღებს შემდეგ რეზოლუციას: „მოისმინა რა მოხსენება გზებზე საექიმო სასანიტარო საქმის მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე გაეცნო რა კანონ პროექტს საექიმო-სასანიტარო საქმის კავშირის ხელში გადაცემის შესახებ, რომელიც გზათა მთავარ კომიტეტისაგან წარდგენილია დასამტკიცებლათ მთავრობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახაზინო გზების მოსამსახურეთა დელეგატების პირველმა ყრილობამ დაადგინა:

1) მიეცეს წინადადება კავშირის მომავალ ცენტრალურ ორგანოს საჩქაროთ მოაწესრიგოს სამედიცინო პერსონალის შტატი და დაითხოვოს იქიდან ის პირნი, ვინც უფრო აქტიურათ ატარებდენ საექიმო-სასანიტარო საქმეში კავშირის მხრით არჩევის იდეას, და საერთოდ ყველა ის პირნი სამედიცინო პერსონალიდან, რომლებიც არ არიან მისაღებნი რკინის გზის დემოკრატიის მხრით.

2) მოწონებული იქნას ექიმ მუსხელიშვილის დათხოვნა.

3) აუცილებლათ და საჩქაროთ დამტკიცებულ იქნას მთავრობისა და ეროვნულ საბჭოს მიერ შეუცვლელად წარდგენილი კანონ-პროექტი, რომ ამით ბოლო მოეღოს ყველა იმ მავნე მითქმა-მოთქმებს, რომლებიც შეეხებიან პროფესიონალურ კავშირისა და ექიმების სექციის უფლებებს.

4) გამოეცხადოს მადლობა კომისარ ნინუას ენერგიული მოღვაწეობისათვის, ხოლო გზათა მთავარ კომიტეტს ნდობა, და აგრეთვე, აღეთქვას ამხ. ნინუას და კომიტეტს სრული დახმარება. იმ ექიმებს და ბეჭდვითი ორგანოებს, რომელთაც ასტეხეს განგაში ამათ წინააღმდეგ, ყრილობა უცხადებს პროტესტს და აღშფოთებას.

5) ამასთანავე ყრილობა გამოსთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ ამხ. რუხაძე იძულებული გახდა უარი ეთქვა უფროსის ექიმის თანამდებობაზედ, რომელიც მას შეეძლო კავშირმა.

რკინის გზის მილიციის შესახებ მოხსენებას აკეთებს მილიციის უფროსი ბერძნიშვილი. თუ რკინის გზის მილიციაში არის დეფექტები, ეს იმით აიხსნება, რომ იქ არ არის ინტელიგენტური ძალები საკმაოთ და არც რაიმე

ინსტრუქცია აქვთ მილიციას, რომლითაც ის უნდა ხელმძღვანელობდეს. მიუხედავათ ყველა დაბრკოლებისა, რკინის გზის მილიცია პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. რკ. გზის მილიციამ ბევრი ბოროტმოქმედება აღმოაჩინა. 3000 მეტი ოქმი აქვს შედგენილი. და თუ ხანდისხან მილიცია არ იდგა თავის სიმაღლეზე, აქ დამნაშავეა გარეშე პირობებიო.

მოხსენების განხილვა გადაიდო მეორე დღისთვის.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

30 სექტემბერი.

**მოსკოვი.** ც. აღ. კ—ტის ბიულეტენი. ბერლინი. დღეს გერმანიის პარლამენტის წრეებში გავრცელდა ხმები ბულგარეთში რევოლიუციის მოხდენის შესახებ, ვითომ ბულგარეთის ჯარისკაცთა საბჭოს მიემართოს მეფე ფერდინანდისთვის, რომ იგი ტახტიდან გადამდგარიყო. ამიტომ ფერდინანდი ვენგრიაში გაქცეულა. ამ ცნობამ ბერლინის ბირჟაზე დღეს დიდი პანიკა გამოიწვია. ყველა ღირებულებათა კურსი, განსაკუთრებით კი დიდი ქარხნების აქციები, დაეცა 60 პროცენტამდე. ბერლინში მოვიდნენ ჰინდენბურგი და ლიუდენდორფი. ელიან იმპერატორ ვილჰელმს.

**სოფია.** მთავრობის ცნობა. მთავრობამ 25 სექტემბერს სამთავრობო პარტიების ბლოკთან შეთანხმებით წინადადება მისცა მოწინააღმდეგეს დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. ბულგარეთის საზავო დელეგაციის წევრები მოკავშირე სახელმწიფოების რწმუნებულთან ერთად უკვე გაემგზავრნენ სტრუმში ბლოკმა ჯარს მოწოდებით მიმართა სამხედრო და სამოქალაქო დისციპლინის დასაცავად.

**ბერლინი.** განტცემ რეიხსტაგის მთავარ კომისიაში წარმოთქმულ სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ბულგარეთში მდგომარეობა სერიოზულიაო. მაგრამ ის ჰფიქრობს, რომ გერმანიის მიერ გაგზავნილი ძალები ბულგარეთში განამტკიცებენ სამხედრო მდგომარეობას, ასე რომ ბულგარეთის კავშირიდან გამოსვლა ჯერ არაა გადაჭრილი.

**მოსკოვი.** საბჭოთა წრეებში ჰფიქრობენ, რომ ბულგარეთის მთავრობა შეეტაკა ხალხის აზრს, რომელიც იმას ამბობს, რომ ბულგარეთი მხოლოდ გერმანიისთვის ომობსო თუ ბულგარეთი გამოვიდა ოთხთა კავშირიდან, ამას მოჰყვება ან ოსმალების წასვლა, ანდა მისი განადგურება გერმანიის სიშორის გამო.

**პერმი.** ქ. უფის მუშებმა თავის მენშევიკური შეხედულებანი ძლიერ გამოიცვალეს. მოსალოდნელია სამხედრო გადატრიალება. „სამხედრო-სამრეწველოელნი“ აშკარად გამოდიან „უჩრედილკის“ წინააღმდეგ. მათ ხელმძღვანელობს სინოდის ყოფილი ობერ-პროკურორი ლვოვი. ისინი სამხედრო დიქტატურას მოითხოვენ.

**ბერნი.** ამერიკელ სოციალ იმპერიალისტების დელეგაციას, რომელიც იტალიაში მოვიდა ომის სასარგებლო აგიტაციის გასაწევად, მუშები აშკარა მტრულად შეხვდნენ. იტალიის ცენზურამ ამის შესახებ ყოველგვარი ცნობების ბეჭდვა აკრძალა.

**ვაშინგტონი.** 10 მილიონის გარდა, რომელიც შეტანილია გასაწვევთა სიებში, კიდევ მოთხოვნილია 13 მილიონი მოხალისე. შეერთებულ შტატებს შეუძლია შეჰქმნას 23 მილიონიანი ლაშქარი. 4 მილიონი მალე გაიგზავნება დასავლეთის ფრონტზე

**მოსკოვი.** მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ კამენევმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მოსკოვის მუშებს: „შიმშილმა, სამხედრო დამარცხებამ და ათასგვარმა უბედურებამ, რომელიც ომმა მოიტანა, ააჯანყა ბულგარეთის ხალხი თავის მთავრობის წინააღმდეგ და აიძულა მთავრობა ზავი ეთხოვა. ხალხი გაღატაკდა, ბურჟუაზია კი კიდევ გამდიდრდა. ხალხს ზავი სწყურია. მისი ხსნა ბურჟუაზიის ბატონობის მოსპობაშია. ბულგარეთის ხალხმა თვით უნდა აიღოს ძალა-უფლება. იმპერიალისტური კავშირები სკდება. პროლეტარული კავშირები იზრდება. ჩვენ დიდიხნის ცდა აღარ დაგვჭირდება. იმპერიალისტების ნანგრევებზე აინთება ცეცხლი მსოფლიო რევოლიუციისა. ისტორია ჩვენ გვამართლებს. ჩვენ იმპერიალისტური ომის დასასრულის დასაწყისთან ვართ. ომი კვდება, რევოლიუცია მას კვალდაკვალ მიჰყვება“.

**კოპენჰაგენი.** პრუსიის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა რეიხსტაგის მთავარი კომისიის დახურულ კრებაზე განაცხადა, რომ გერმანულმა ლაშქარმა 15 მარტიდან ვიდრე 15 ივნისამდე სულ დაკარგა 500.000 კაცი დახოცილი, დაჭრილი და დატყვევებული დახევის დროს 15 ივლისიდან ვიდრე 15 სექტემბრამდე გერმანიამ დაკარგა 45.000 კაცი მოკლული, 155,000 დაჭრილი და 50,000 ტყვე.

**კოპენჰაგენი.** შორეულ აღმოსავლეთის მთავრობა ტომსკში გაიქცა. სხვა წარმომადგენელთა მოწვევით სურთ შეადგინონ ახალი მთავრობა.

„ნაციონალ ტაიდენდე“ იტყობინება ლონდონიდან: „ჩეხო-სლოვაკების მთავარ სარდალი განდა ითხოვს მაშველ ჯარებს სამი დივიზიის სახით, რომ მან შესძლოს ურალის ფრონტის გამაგრება. განდა უკმაყოფილოა რუსის ჯარისკაცებით.

რუსეთის საზღვარ გარეთ მოვალეების დასაკმაყოფილებლად „ტაიმზი“ საჭიროდ აღიარებს, რომ დაარსებულ იქნას დაინტერესებულ სახელმწ. წარმომადგენ. განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალება რუსეთის შემოსავლის და გასავლის მოგვარება, პირველ რიგში კი რუსეთის მოვალეების დაკმაყოფილება. სხვა ნაირად რომ ვსთქვათ ინგლისის ოფიციოზს სურს რუსეთი გადააქციოს მეორე ოსმალეთად.

**ბერლინი** საღამოს სამხედრო მოხსენება. იპრის აღმოსავლეთით დიდი ბრძოლებია კამბრესა და სენკანტენსა შუაც დიდი შეტაკებები ხდება. ინგლისის შემოტევას გაფართოებულ ფრონტზე შედეგი არ მოჰყოლია. შამპანში და არგონებს შუა ფრანგთა და ამერიკელთა შეტევები მოგერებულ იქნა.

1 ოქტომბერი.

**ბერლინი.** სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის და ბოინის ლაშქარი.

მოწინააღმდეგეს მოაქვს იერიშები ფლანდრიაში, ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეხია დიკსმიუდის ჩრდილოეთ ნაწილიდან და გაგვეთავისუფლებია ვიტშატსკის სექტორი. მემარცხენე ფლანგზე მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. მტერმა იერიში მოიტანა მორრელდსა და დადიზელზე. აქ ისინი შევაჩერეთ. მოწინააღმდეგე, რომელიც დილას შემოიჭრა ხუტემიდან კომენში, განდევნილ იქნა ჩვენი კონტრ-იერიშით. ჩვენ აქ ბრძოლას ვაწარმოებთ ლისის რაიონში. სასტიკი ბრძოლაა კამბრე და სენ-კანტენის შუა ფრონტზე. მოწინააღმდეგემ გამოიყვანა ბრძოლაში 16 დივიზია ქალაქის წინააღმდეგ ორივე მხრიდან იმ მიზნით, რომ აიღოს კამბრე და გაარღვიოს ჩვენი ფრონტი. ტილლუას ახლო ვაწარმოებთ ნაყოფიერ კონტრ იერიშებს. კამბრე, პერვილი და კანტემირის რაიონები დაიპყრო მტერმა, ამ ადგილების დასავლეთის მხრივ ვიგერიებთ იერიშებს. მარკუანის სამხრეთით მოწინააღმდეგემ უკან დაგვახევინა მასნიერ კრევეკურის არხისკენ. მოწინააღმდეგემ იერიში მოიტანა გინნელ და ბელ ლიკურტიდან. იერიშები მოვიგერიეთ. ვილლერ გუისლენი უკან დავიბრუნეთ. მოწინააღმდეგე, რომელიც დაიძრა ბელლიკურტიდან და ბელლენგლტრომიდან ჩვენ შევაჩერეთ დასავლეთით ლეგოკურტის ხაზზე. ჯარის იმ ნაწილებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ გრიკურტთან, დაიხიეს ლეგოკრუტისაკენ. საერთოდ ინგლისელებს ეს ბრძოლა ძვირად დაუჯდათ.

მოწინააღმდეგემ განაგრძო იერიში უანის და ენის ხაზზე. აქ აწარმოებენ ბრძოლას ფრანგები და ამერიკელები. მოწინააღმდეგეებმა აქ გამოიყვანეს რამოდენიმე ახალი დივიზიები. სომმ პისთან იერიშები მოვიგერიეთ აღმოსავლეთით მანრ და არბეილ დარჩა მოწინააღმდეგეს. არგონის და მეუზის ხაზზე იერიშები მოქონდათ ამერიკელებს. იმათი იერიშები უნაყოფო გამოდგა. ეიერის რაიონში ამერიკელებს დავახვიეთ ერთი კილომეტრით.

გუშინ ჩამოვაგდეთ 45 მოწინააღმდეგის ჰაეროპლანები.

**ბერლინი** საღამოს მოხსენება. ფლანდრიაში სიწყნარე იყო. ინგლისელების იერიშებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. საღამოს ლეკატელესთან ბრძოლა იყო. შამპანში ფრანგებს მოაქვთ უმნიშვნელო იერიშები. არგონის აღმოსავლეთით ამერიკელებს მოაქვთ სასტიკი იერიშები.

ბულგარეთის საზავო წინადადებამ, ბერნიდან მიღებულ ცნობის მიხედვით მოახდინა დიდი გავლენა შვეიცარიაზე. ყველა გაზეთები აღნიშნავენ ამ მოვლენის მნიშვნელობას. ბაზელის გაზეთი „ნაციონალ-ცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ ბულგარელების მიერ გადადგმული ნაბიჯი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მარნაზე მეორე შეტაკება: გაზეთის აზრით ბულგარელები არა თუ დამარცხებულია, არამედ სრულიად მოკლებულია თავდაცვის უნარსაც, რადგანაც ჯარი მეტად მოღლილია. არც ხალხს, არც ჯარს ომი არ უნდა, გარდა მეფისა და რამდენიმე გენერლებისა, რომლებიც წარმოადგენენ გერმანოფილურ ელემენტს. გაზეთი არკვევს ეკონომიურ და სამხედრო შედეგებს ამ ღალატისა ცენტრალურ სახელმწიფოებისადმი. მისი აზრით გერმანია ვერ შესძლებს გამოასწოროს შექმნილი მდგომარეობა.

# მუშათა წერილები

**მომავალ პარტიულ ყრილობის გამო.**

ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის საოლქო კომიტეტის დადგენილებით 3 ნოემბერს თფილისში მოწვეულია პარტიული ყრილობა, რომელმაც თავისი მსჯავრი უნდა დასდოს წარსულში ხელმძღვანელ ორგანოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და აგრეთვე გამოიმუშაოს გეგმა მომავალი მოქმედებისა. ყრილობას განსახილველი აქვს მრავალი საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც მოითხოვენ წინასწარ მსჯელობას ადგილობრივ ორგანიზაციებში, თუ პარტიულ კრებებზე, მაგრამ ყველა იმ საკითხებთა გარდა, რომელიც გამოუმუშავებია საოლქო კომიტეტს, ჩვენის აზრით უნდა დაემატოს კიდევ ერთი საკითხი პარტიის სახელწოდების შესახებ, რომელიც სხვა საკითხზე არა ნაკლებ საყურადღებოა დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის დროს.

წინეთ, როდესაც საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა, ჩვენი პარტიის სახელწოდებაც რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტია იყო, თუმცა მაშინაც კი ერთ ნაწილში ჩვენი ამხანაგებისა იყო სურვილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დაარსებისა, როგორც ეს არსებობდა ფინლიანდიასა და პოლონეთში. თუ რამდენათ სამართლიანი იყო მაშინ იმ ამხანაგების აზრი და შეხედულება, ეხლა მე ამის მტკიცებას არ შეუდგები, ვიტყვი მხოლოთ, რომ მას შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა და ჩვენც მოვალე ვართ ანგარიში გაუწიოთ ამ მოვლენას.

როგორც ვიცით ხსენებულმა საკითხმა თავი წამოყო წარსულ პარტიულ ყრილობის დროს, როდესაც ამიერ-კავკასია დროებით ჩამოშორებული იყო რუსეთს და მაშინ ამ საკითხს თუ არ ვცდები მეთაური წერილიც კი უძღვნა ჩვენმა გაზეთმა, რომელშიაც ის აზრი იყო გატარებული, რომ პარტია დარჩენილიყო ისევ რუსეთის სახელწოდებით; მაშინ ასეთი შეხედულება ლოღიკურიც იყო, მაგრამ როდესაც მთლიანი რუსეთი საბოლოოთ დაირღვა და მის ნანგრევებზე წარმოიშვენ მთელი რიგი დამოუკიდებელი რესპუბლიკებისა, აქედან გამომდინარეობს პარტიის სახელწოდების შეცვლის საკითხიც. საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, მაშასადამე ჩვენს პარტიას არ შეიძლება ეწოდოს რუსეთის სოც. დემ. პარტია და ამ სახელწოდებას ის უკვე აღარ ატარებს. დღეს ჩვენს პარტიას ეწოდება სოც.-დემ. მუშათა პარტია და მის ხელმძღვანელ ორგანოს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, რაიც ჩემის აზრით არა ბუნებრივათ უნდა ჩაითვალოს, მას შემდეგ, რაც ამიერ კავკასიაში სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა წარმოიშვა, მაგრამ რა თქმა უნდა პარტიის სახელწოდების შეცვლა პარტიულ ყრილობის საქმე იყო და არა საოლქო კომიტეტის.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, რომლის დამოუკიდებლობა უკვე იცნო თვით იმ სახელმწიფომ, რომლის ნაწილსაც საქართველო წარმოადგენდა. მომავალ საერთაშორისო, სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველო წარსდგება დამოუკიდებელი, როგორც ერთი სრულ უფლებიანი წევრი საერთაშორისო ოჯახისა. ასეთივე სრულ უფლებიანი წევრი უნდა გახდეს ჩვენი პარტია მომავალ აღდგენილ ინტერნაციონალში. ყველა ეს მოსაზრებები გვიკარნახებს ზემოხსენებული საკითხის ყრილობის დღიურ წესრიგში შეტანას და მის დადებით გადაწყვეტას. ჩვენ იმედი გვაქვს საოლქო კომიტეტი ყურადღებას მიაქცევს ამ მცირე შენიშვნას და მომავალ ყრილობაზე სხვა კითხვებთან ერთად ეს საკითხიც გაირჩევა და სათანადოთ გადასწყდება.

ს ელიაძე.

# ახალი ამბები

დღეს, დილას 11 საათზე, შესდგება საოლქო კომიტეტის კრება. დასწრება აუცილებელია.

◆ **ტყვე ქართველების ჩამოსვლა.** ამ დღეებში გერმანიიდან მოელიან ქართველ-ტყვეებს: 19 აფიცრებს და 148 ჯარის კაცს.

◆ **ერობის არჩევნები.** ერობის არჩევნებში მუჯარისხევის რაიონში მონაწილეობა მიიღო 4307 ამრჩეველმა. ხმები დანაწილდა შემდეგ ნაირად № 1 მამიიღო 4156 ხმა, № 2—46, № 3—104.

◆ **სახოფლო კომისიამ** მიიღო შემდეგი დეპეშა მანგლისიდან: „დატუსაღებულნი არიან მთავარი ხელმძღვანელნი ამბოხებისა და სახაზინო ქონების მძარცველნი ალმაზოვი, ალიხანოვი და მჭედლიძე. გრძელდება თავისნებით დადაძალი იარაღის, ხელის ყუმბარების, პატრონების და სხვა საომარ მასალის ჩაბარება“.

◆ **ოსმალები კარაკლისში.** კარაკლისიდან ჩამოსულების ცნობით, ოსმალები ართმევენ სომეხ მცხოვრებლებს ხორბალს, ქერს და კართოფილს. სამაგიეროთ ისინი აძლევენ კვიტანციას და ფულის მისაღებათ ალექსანდროპოლში გზავნიან.

◆ **სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა** რკინის გზის მოსამსახურეთა დელეგატების ყრილობისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გზების მოსამსახურეთა დელეგატების პირველმა ყრილობამ, მიიღო რა სახეში სახალხო გვარდიის სამსახური რევოლიუციის მონაპოვართა გამაგრებისა და საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკის დაცვის საქმეში, სთხოვს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს გარდასცეს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ყველა ამხანაგებს წრფელი სალამი“.

◆ **შეშა რკინის გზისთვის** სახაზინო გზათა უფროსმა შუამდგომლობა აღძრა გზათა მიმოსვლის მინისტრის წინაშე, რომ 500 000 მანეთი გადასდოს მის განკარგულებაში უკვე ნაყიდ და დაკვეთილ შეშის შესაძენად. როგორც ვიცით ამ ბოლო დროს ორთქლმავალებს შეშით ახურებენ და თუ ფული დროზე არ გადასდეს, მოსალოდნელია რკინის გზებზე მოძრაობის შეწყვეტა.

◆ **ქართველი მსახიობნი.** ქართველ მსახიობთა კავშირს მთავრობამ წინადადება მისცა თავის წევრები მოახმაროს სახაზინო თეატრში სეზონის მოწყობას. მსახიობთა კავშირმა გუშინ საგანგებო კრება მოიწვია.

◆ **სემინარიის მართველობა** თფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეების საყურადღებოთ აცხადებს, რომ პირველ ღვინობისთვიდან სწავლა სემინარიაში დაიწყო. 7 ღვინობისთვემდე ვინც არ გამოცხადდება დათხოვნილ იქნება სემინარიიდან.

◆ **გადაყენება** ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობის თავმჯდომარე, ა. ქ. როლლოვი თხოვნის თანახმად სამსახურიდან გადააყენეს, მის ადგილზე დაინიშნა მიწათ-მოქმედების სამინისტროს საბჭოს წევრი თ. ა. შიმანსკი.

◆ **მშობელთა საყურადღებოთ.** ვაჟთა პირველ გიმნაზიაში იხსნება საანბანო კლასი, თხოვნების მიღება გაგრძელდება 10 ოქტომბრამდე.

◆ **ქართულ გერმანული საზოგადოება.** დღეს საღამოს შესდგება ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების გამგეობის სხდომა.

— დღეს ქართულ გერმანულ-კულტურულ საზოგადოების ბინაზე, (ფრეილინის ქუჩა № 11), შესდგება ვესტერ-ჰანგენის ლექცია.

◆ **დატუსაღება.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა განსაკუთრებულმა რაზმმა აღმოაჩინა სპეკულიანტთა ჯგუფი. დაატუსაღეს: ა. სეილანოვი, ქ. რაიგულოვი, ს. მირონოვი, ს. რიაბინსკი, მ. რადლინი, ს. პოლაკი, კაპ. ე პოკონინი, პოდპ. ი. ლეონიძე და ვლ. კოვაჩი. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ საგულისხმო საბუთები. გამოძიება სწარმოებს.

— მილიციის უფროსმა დაატუსაღა ნ. გალანდიანცი და მისი შვილი რუსული ფულის ყიდვისათვის.

◆ **თავდასხმა.** 30 სექტემბერს გოგირდის წყლის სადგურს თავს დაესხა 4 შეიარაღებული ავაზაკი, რომელთა შორის ერთი იყო მარგაძე, იარაღი აართვეს კომისარსა და რამოდენიმე მილიციონერს და მატარებლით წავიდნენ ტყიბულის მიმართულებით.

◆ **მასწავლებელთა საყურადღებოთ** ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობა ამით აცხადებს, რომ არითმეტიკული კრებული ბ ნ შუბლაძე ჩიმაკაძისა I და II ნაწილი და ბ ნ რობაქიძის „სამშობლოს აღწერა“ გადაეცა გასასყიდლათ ბ-ნ მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას ქ. ქუთაისში. მყიდველთ ვთხოვთ იმას მიმართონ. ვოაგონებთ სახალხო მასწავლებელთ, რომ წიგნებიდან შემოსული თანხა უნდა მოხმარდეს განზრახულ მასწავლებელთა თავშესაფარ სახლს.

**კრებები.**

დღეს, საღამოს 6 საათზე ანასტასიის ქუჩა № 22, დანიშნულია ქართველ საექიმო ფაკულტეტის სტუდენტთა კრება. სასურველია დაესწრონ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც. გასარჩევია მეტად სერიოზული კითხვები. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ

**დიდუბე.**

24 სექტემბერს შესდგა დიდუბის რაიონის სასურსათო კომიტეტი კრება, სადაც განხილულ იქნა სტენოგრამა მთავარ სასურსათო კომ. ფურნის გახსნის შესახებ და მის მოწყობილობის შეძენა. კრებამ იქონია რა მსჯელობა გამოიტანა დადგენილება: ფურნის გახსნა ადვილი მოსახერხებელია, რადგანაც დიდუბის რაიონში რამდენიმე ფურნეა მოწყობილი, მხოლოდ თუ ქალაქის სასურსათო კომიტეტი შეგვიწყობს ხელს ფქვილის გზავნით და მის უზრუნველყოფით. გარდა ამისა ამხ. ჟურულმა განაცხადა კრების საყურადღებოთ, რომ ამ ბოლო ხანებში ხშირი მოვლენა გახდა ამა თუ იმ პირის მიერ ფულის გატაცება და რომ ეს ბოროტება აღმოფხვრილ იქნას ამისთვის საჭიროა ქალაქის სასურსათო კომიტეტმა იყოლიოს საკუთარი „არტელშჩიკი“, რომელიც ჩამოივლის ხოლმე ყველა სასურსათო სავაჭროებს და მოაგროვებს ყოველდღიურ ნავაჭრსო. კრებამ ესეც მიიღო. არ შემიძლია უყურადღებოთ დავსტოვო ის გულგრილობა, რომელსაც იჩენს კომიტეტის წევრები და განსაკუთრებით კი თავმჯდომარე, რომელმაც თითქმის მთლათ მიატოვა მუშაობა. 25 სექტემბერს ამხ. ჟურული შემთხვევით წააწყდა მარილზე მოჩხუბარ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ დიდუბეში. მოქალაქე ბურცევს გარიგებია ბ. კოკაშვილი მარილს ფუთს 62 მან. და როდესაც საიდგანაც მოუტანია ბ. ბურცევს მარილი 100 ფუთი, მერე უარი უთქვამს მიცემაზე, რადგანაც მუშტარი სხვაც გამოსჩენია. როდესაც შეკითხებია ამხ. ჟურული თუ საიდგან აშოვე ამდენი მარილიო, ბურცევს მიუგია პასუხად, რომ მარილი, ჩამოვიტანეთ მანგლისიდანო. კითხვებზე: გაქვს თუ არა ნებართვა მარილის ვაჭრობისა, ან რა უფლებით ჰყიდი ეგრე აწეულ ფასშიო, იყო პასუხი, რომ მან მარილი ჩამოიტანა ქალაქის კოოპერატივისთვის, მაგრამ მას ამის დამამტკიცებელი არაფერი მოწმობა არა ქონდა. სულ ბ. ბურცევს გაყიდულ მარილს გარდა აღმოაჩნდა შენახული 8 ტომარა ფხვნილი მარილი და 92 ფ. ქვა-მარილი, რის შესახებ ამხ ჟურულმა შეატყობინა მე 12 სამილიციო უბნის კომისარს გამოსაკვლევათ და ოქმის შესაყენებლათ. საჭიროა ამისთანა ბურცევებს ლაგამი ამოედოთ, რადგანაც მარილი ნიხრით ღირს 14 მან. ფუთი და ის კი, როგორც სპეკულიანტი, ჰყიდის ქურდულათ ფუთს 62 მან. რაც დასაშვები არ არის დემოკრატიულ სახელმწიფოსი.

მეთვალყურე.

**ავლაბარი.**

უკუღმართ დროთა მსვლელობამ დიდი დაღი დაასვა სწავლა-განათლების საქმეს; როგორც ვიცით, ძველი რეჟიმის ნაანდერძევმა ამ დარგში მეტად არასასურველი შედეგები მოიტანა ჩვენს ბავშვებს ამახინჯებდენ სულიერათაც და გონიერათაც; ეხლანდელი ახალგაზრდობა გადაგვარების გზაზე დამდგარი არა თუ ვერ აზროვნობს სამშობლო ენაზე, არამედ ვერ ლაპარაკობს კიდეც ამიტომ უპირველესი ნაბიჯი გადადგმული მასწავლებელთა მიერ ამ დარგში—უნდა იყოს მიმართული სკოლების გაეროვნებისაკენ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. მე განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევ ამ შემთხვევაში ავლაბარს, რომელიც ქართულ და სომხურ უბნათ უნდა ჩაითვალოს და ამავე დროს კი ქართველ მოწაფეთა რიცხვი გიმნაზიებში ძალიან ცოტა არის. უმთავრესი მიზეზი ამისა გახლავთ ის, რომ ბავშვებს ძალიან უჭირდათ უცხო ენაზე გამოცდების ჩაბარება და ამიტომ ბევრი მათგანი გიმნაზიის გარეშე რჩებოდა.

ასეთ მოვლენას განსაკუთრებითი ადგილი ჰქონდა ავლაბარში, რომელიც უმეტესათ დასახლებულია ღარიბი ხალხით და მაშასადამე, არ ქონდათ შეძლება მოწაფეებს ჯეროვნათ მომზადებისა და ისიც უცხო ენაზე

ახლა კი გვაქვს შეძლება ჩვენს დედაენაზე სწავლის წარმოებისა და ამიტომ მივმართავ ავლაბარში მცხოვრებ ქართველ საზოგადოებას, რომ შემოიყვანონ თავისი შვილები ქალთა მე-6-ე გიმნაზიაში, რომლის კარებიც მუდამ ღია იქნება აქამდინ დაჩაგრულ ხალხისთვის.

გ. ლ.

**პროვინციის ქრონიკა.**

— ხოლერამ ბორჯომში ამ ბოლო დროს შესამჩნევად იკლო, მაგრამ მის მაგიერ მეორე გადამდებმა სენმა იჩინა თავი: ეხლა სახადი მძვინვარებს. საჭიროა ზომების მიღება.

— ადგილობრივ სახელოსნო სასწავლებელში მეცადინეობა 1 ოქტომბერს დაიწყო.

— აქ საგრძნობი სიძვირეა.

# კიდევ ფარმაცევტების ცხოვრებიდან

რა საკადრის საშვალებათ ითვლება, როცა მოწინააღმდეგეს ჯერ მოახვევ თავზე იმას, რაც არ უთქვამს და მერმე გადგები განზე და ბრალდებას წაუყენებ. ასე იქცევა ფარმაც. ი. დოლიძეც თავის წერილში ერთობა № 205.

მომახვია თავზე ვითომ მე მეთქვას, რომ ფარმაცევტები მუშები არ არიან. „ძე“ ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ფარმაცევტებმა მოთხოვნილება წარადგინეს და სხვა... ნეტავ რათ დასჭირდა ამხ. დოლიძეს სიტყვის ასე ბანზე აგდება და მკითხველის შეცდომაში შეყვანა.

ჩემს წერილში „ერთობა“ № 188 მე ვამბობდი: „მივმართავ შეგნებულ ნაწილს ამხ. ფარმაცევტებისა და ვსთხოვ ამ საკითხს შეხედონ საზოგადოებრივი თვალსაზრისით, გადასინჯონ თავიანთი დადგენილება და ყოველივე მომატება ჯამაგირი მოითხოვონ ზომიერათ და მიზანშეწონილათ“. ნუ თუ ეს ნიშნავს იმას, რომ მე ვერ შევრიგებივარ ფარმაც. ჯამაგირის მომატებას?! ამხ. დოლიძე მისაყვედურებს ფაქტების არ ცოდნას, ვითომც მე გადამემეტებინოს და 650 მან. მართლაც არ იღებდენ ჯამაგირს ფარმაც. შუათანა რიცხვით მე კი ამხ. დოლიძეს ვეტყვი, რომ ჩემგან მოყვანილი ციფრი სრულიად მართალია, ვეტყვი იმას, რომ ეს დოლიძემაც კარგათ იცის, მაგრამ რათ სჩადის სიყალბეს და ამბობს რომ 450 [illegible] მგონია მეც და დოლიძესაც ერთი მიზანი უნდა [illegible] გილი ზედმეტ მოთხოვნილებას და სადაც ჩვენი აწეწილი მდგომარეობა საუყირამალა არ დადგეს.

მოყავს ვილარეტის აფთიაქის მაგალითი და ამბობს: „ვილარეტის აფთიაქში ათი მოსამსახურე იღებს 4500 მან. მერე ეს ათი მოსამსახურე ყველა ფარმაცევტებია თუ ამ რიცხვში შედიან მოწაფეებიც და შუშების დამრეცხი და აფთიაქის დამცველი მოსამსახურეებიც. მე იძულებული ვარ ასეთი გრადაცია გავაკეთო, რადგანაც პროფესიონალური კავშირის მიერ წარდგენილ მოთხოვნილებით, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა თუ არ ვცდები მარტში ამნაირი გრადაცია არის. ამის მიხედვით ფარმაცევტები *) იღებენ 650 მან. კი არა, როგორც მე ვწერდი, არამედ 65[illegible] მან. თქვენ ყველა ეს ძალიან კარგათ იცოდით, მაგრამ ყველას რიცხვი შეაერთეთ განგებ, რომ მერმე საერთო რიცხვზე გაყოფით ნაკლები ციფრი მიგეღოთ.

ასეთ გრადაციის მიღებაში დოლიძესაც წილი აქვს და თუ ვილარეტის აფთიაქში რამე უკუღმართობა ხდება, მგონია ამხ. დოლიძე ვალდებული იყო მიემართნა პროფ. კავშირისთვის. მაგრამ მე ვიცი, რომ ვილარეტის აფთიაქში ისეთივე პირობებია, როგორც ყველგან. ე. ი. ფარმაცევტი შუათანა რიცხვით იღებენ 659 მან მე ვფიქრობ, რომ არც ფარმაცევტები და არც ტყიბულის მუშები მოთხოვნილების წარდგენის დროს არ ხელმძღვანელობდენ არაკით „გალა შეედავე გამოლმა მაინც დაგრჩესო“ და თუ ეს ასეა, მაშინ მე და დოლიძის შორის სადაოც აღარაფერია, რადგანაც მომრიგებელმა კამერამ 500 მანეთის მომატება დაიყვანა 200 მანეთამდე. მეც ვ მბობდი, რომ 500 მან. დღესდღეობით გადაჭარბებულია-მეთქი. ნამდვილათ ამხ. დოლიძე მომრიგებელ კამერასაც წაუყენებს იმ ბრალდებებს, რომლებიც მე წამომიყენა სრულებით უსაფუძვლოთ, მაგრამ შეცდომაში კი ვერავის შეიყვანს.

რაც შეეხება ნიხრს, მის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია, ისედაც წერილი გამიგრძელდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ აფთიაქებში ნიხრი შემოღებულია უძველეს დროიდან და ძველი მთავრობაც სასტიკ კონტროლს უწევდა აფთიაქებს ამ მხრივ. ასე რომ ეს პროფესიონალური კავშირის შემოღებული არ არის. მართალია დღევანდელ დროში ძველი აპარატის მოშლით ნიხრის თვალყურის დევნება ფარმაცევტებს ევალებათ და კიდევაც ადევნებენ თვალ-ყურს, მაგრამ მე ვისურვებდი, რომ ეს თვალყურის დევნება უფრო ფხიზელი და დაუნდობელი იყვეს მომავალში, ვიდრე დღეს არის. ამხ. დოლიძის ციფრები არსად არ არის მართალი და რაღა ლაპარაკი უნდა არც იქ, სადაც ეხება წამლების ფასებს. მე არ ვიცი გარდა ერთი ქალაქის აფთიაქსა არის თუ არა კიდევ მეორე თბილისში, რომელიც ნიხრით ხელმძღვანელობდეს ხელზე ვაჭრობის დროს (ручная продажа) 3 კაპ. ქინაქინა 50 კაპ. კი არა—75 კაპ. 1 მან. ღირს. 10 კაპ. ზეთი 10 კაპ. კი არა როგორც ამხ. დოლიძე ამბობს, არამედ 2 მ. 50 კაპ. იყიდება, 70 კაპ. ბამბა 16 მან. იყიდება თუმცა ნიხრით ყველა ესენი ნახევრათ ნაკლები ღირს.

მე მგონია ესეც საკმარისია. ვინ ღალატობს ფაქტებს მე თუ დოლიძე მკითხველმა გადასწყვიტოს.

—ძე.

# დუშეთის მაზრის ცხოვრებიდან

სტეფანწმინდელებმა საარაკოდ ისახელეს თავი კავკავიდან გადმოხეთქილ ბალშევიკებთან ბრძოლაში და დიდი დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს მთავრობას. მათი გამბედაობა და ვაჟკაცობა მშვენიერს შუქსა ჰფენდა მათს სახელს, მაგრამ სტეფ ნწმინდელებს მეორე თვისებაცა ჰქონიათ, რომელიც ამკრთალებს მათს შარავანდედს. ეს თვისება გახლავთ სპეკულიაციაში. მათ ამ დარგშიაც შესძლებიათ „მოღვაწეობა“.

ვინაიდან ქართველობას წაერთვა საშუალება კავკავსა და თბილისს შორის თავისუფლად მიმოსვლისა, — ქისტებს თვით შემოაქვთ ხან ყაზბეგში, ხანაც ჩვენს საზღვართან ლარსთან პური და სიმინდი გასასყიდად. პირველად თეთრი ფქვილი იყიდებოდა, თურმე, 9—10 თუმნად. მაგრამ იმდენად გაძლიერებულა ყაზბეგელებში რაც შეიძლება მეტი პურის შეძენის სურვილი, რომ დაუწყიათ ერთმანეთ შორის ცილაობა, ერთი-ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ფასების აწევაში, ეგება მთელი პარტია ფქვილებისა მე ჩამივარდესო—და ამნაირს მეტოქეობა-შუღლიანობით, ჰაი, ჰაი რომ სარგებლობდა გამყიდველი და პურის

*) ფარმაცევტი ეწოდება პროვიზორებს და მათ თანაშემწეებს და არ-ან პასუხისმგებელი პირები.

ფასს ერთიორად გაჰხდიდა. მართლაც ახლა ძნელად იშოვით ფუთ თეთრ ფქვილისას 18—19 თუმან ნაკლებ. სტეფანწმინდელ სპეკულიანტებს ეს არ ანაღვლებთ. ოღონდ მთელი ფქვილი მათ იგდონ ხელთა და თავიანთ ფქვილს კიდევაც რომ აუწიონ ფასები, მაინც უშოვნიან მუშტარს. ასე და ამნაირად რაც ფქვილი შემოდის უმეტეს შემთხვევაში სტეფანწმინდელებს უცვივათ ხელში. თუმცა ხანდახან თბილისიდანაც ახერხებენ ვაჭრები ავტომობილებით ამოგრიალებას და ბლომა პურის შეძენას.

სტეფან - წმინდელ მცხოვრებლებში ურევიან თითო ოროლა ისეთი ვაჟბატონები, რომელნიც ძალიან გაამპარტავნებულან იმ დაფნებით, რომელიც სოფელმა მოიპოვა ბალშევიკებთან ბრძოლით და ახლა წარა-მარა მას აყვედრიან მთავრობას, მსგავსად იმ კაცისა, რომელმაც მეფე ხაროდან ამოიყვანა, გააპარა და ცხვირი გაუჩვრიტა წარამარა ბაქიობით: ხომ გაგანთავისუფლე, ჰა, ხომ გაგანთავისუფლეო. სტეფანწმინდელი „გმირები" უარესსა სჩადიან. აქაო და ერთხელ მთავრობას დავეხმარე — უფლება მაქვს, როგორც მინდა ისე ვექცე მთავრობა, თუნდა ეს არც კი ჰქონდეს დამსახურებულიო.

კვირას, 8 ენკენისთვეს ს. სტეფან წმინდაში დანიშნულ იქმნა მოხევეების ყრილობა. ყველამ ვერ შესძლო მოსვლა. მოვიდნენ წარმომადგენლები და მთიბიდან მეცხვარეები.

წესისამებრ მე კრებას გავაცანი საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, როგორც შინაურ საქმეებში, ისე გარეშეში. კარგა ხანს შევჩერდი მობილიზაციაზე და ვთხოვე გავლენა მოეხდინათ ახალგაზდობაზე და ჩაეგონებინათ სამსახურში გასვლის საჭიროება. კრებამ აღითქვა და შეჩვენებაც კი დაუქადა მათ, ვინც რესპუბლიკანურ მთავრობის განკარგულებას უგულებელს ჰყოფდა და არ გავიდოდა ჯარში.

მოხევეები ფრიად შეფიქრიანებული და დაძმარებული არიან იმ გარემოებით, რომ მთაში ზამთარი ახლოვდება და არ იციან რა უყონ, სად დააბანონ ცხვარი. ადრევე თერგის ოლქში ერეკებოდნენ, ეხლა კი კავკავში მომხდარ უბედურობების გამო გზა შეკრათ და ვიღარ გარეკენ, იქით კიდევაც რომ გაიხსნას, მაინც საფრთხილოა. ქისტები ჩვენს მიწაადგილზე არ გვასვენებენ, მოულოდნელად, მაპარით ესხმიან თავს მეცხვარეებს და დიდძალ ცხვარს მიერეკებიან. საზღვარს რომ გადასცდება ცხვარი ხომ უარეს დააყრიან.

მეცხვარეებს ვაცნობე, რომ ყარაიაზში არის 1 200 კვ. ვერსი საძოვარი მინდორი, რომელიც შეიძლება გადაეცეს ჩვენს მთიულებს. ვურჩიე ამოერჩიათ რამოდენიმე კაცი ამ საქმის დაწვრილებით გასაგებათ მთავრობისაგან და ყარაიაზის დასათვალიერებლათ. მაი მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად უნდა გამოარკვიონ: 1) აიტანს თუ არა ყარაიაზის ჰავას, წყალს და ბალახს მოხევეების და მთიულების ცხვარი და 2) რამდენი ცხვარი დაიტევა. კრებამ აღტაცებით მიიღო ეს წინადადება, მხოლოდ დავა შექმნა: ვინ წასულიყო მთავრობასთან მო ალაპარაკებლად. ამორჩეული პირები თუ შეძლებული მეცხვარეები. აქ თავი იჩინა, ასე ვთქვათ, კლასობრივმა ინტერესებმა.

ცხვრის დიდი ფარების პატრონები, რომელთაც „ხაზეინებს" ეძახიან—სცდილობდნენ გაეყვანათ ის აზრი, რომ სულ „ხაზეინები" წასულიყვნენ. მათ სურთ ისევ თვითონ დაეპატრონონ საუკეთესო ადგილებს და უფრო გამდიდრდნენ. მცირე ცხვრის მქონენი კი ამბობდნენ: საერთოდ ყველა მეცხვარეებს ამოერჩიათ ხუთი კაცი, რომ ისეთი პირები გასულიყვნენ, რომელნიც მიწის ამორჩევა-განაწილებაში ღარიბ მეცხვარეთა ინტერესებს არ დასჩაგრავდა და სამართლიანად გაათავთავებდა მიწას, უკეთუ აქამდის მიეიდოდა ჭსაქმე ყრილობაზე, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელმა აზრმა გაიმარჯვა. მთელი ხევი დაჰყვეს 5 ნაწილად, რომლის მეცხვარეებმა იმ ღამესვე ამოირჩიეს თავთავიანთი წარმომადგენელი. მეორე დღეს ისინი უნდა გამგზავრებულიყვნენ თფილისს.

— —

„პური, პურიო", აი რა ისმის ეხლა მთაში ცალკე ცხვრის ბედი აწუხებთ, ცალკე უპურობა. გუდამაყრელები, მთიულები, მოხევენი—ყველანი ძუნგის (კავკავის) სიმინდ პურით ცხოვრობდნენ.

თუ მთიულებმა არეულობაში მონაწილეობა მიიღეს, იმიტომ კი არა ვითომც იგინი ბალშევიკები იყვნენ და მთავრობას ომს უცხადებდნენ—არა, მათ არა ესმით რა ბალშევიზმისა, მათ სურდათ მხოლოდ გზა გაეხსნათ კავკავისკენ. სამხედრო გზა და კავკავი იყო მათი სასიცოცხლო ნერვი, არსებობის სახსარი. მათ ახლაც ვერ წარმოუდგენიათ, თუ უკავკავოდ შეიძლება მათი არსებობა. ცხვარს იქით ერეკებოდნენ, ყველი, მატყლი, ერბო იქით მიჰქონდათ. კავკავ თფილისს შორის საქონლის გადაზიდვა-

გადმოზიდვაშიაც ისინი იყვნენ პირველი მონაწილენი. მათი დიდი უმრავლესობა მეურმეობას ეწეოდა. ახლა კი უმუშავრად არიან დარჩენილი.

მთაში სახნავ სათესი მიწები არაა და არ იციან რა ჰქნან, რით უშველონ თავს ამ მამასისხლობაში. თუ რაიმე მუშაობა სწარმოებს თფილისსა და კავკავ შორის — მალაკნები სარგებლობენ. ტვირთი თუ მგზავრები მათ გადაჰყავთ ფურგუნებით.

უნდა ითქვას, რომ იგინი კარგა ბლომად არიან და დიდი გამორჩენაცა აქვთ. ბალშევიკები მათ არას ავნებენ და ჩვენს მიწა ადგილზე ხომ სულ არხეინად ჰგრძნობენ თავსა.

ჩვენმა მთავრობამ საჩქაროდ უნდა მიაქციოს ყურადღება მოხევეების უმწეო მდგომარეობას. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეგისტრაცია უმუშევრად დარჩენილ მეურმეების, ცხენების, ურმების და სადმე აღმოუჩინოს მათ სამუშაო. მოხევეებთან მე მქონდა ლაპარაკი და ისინი დიდის სიამოვნებით წავლენ საითაც გაიწვევენ სამუშაოდ.

— —

მოხევეები პოლიტიკურად უფრო გარკვეულნი არიან, ვიდრე ბარის ხალხი. და თუ აქ ანც მოდუნებულია საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემა — ეს იმიტომ, რომ ბევრი ხელის შემშლელი პირობები ელობებათ წინ. იგინი მთლად მოწყვეტილნი არიან საქართველოს. გზა-დაკარგულ ჩიტივით მაინც, რომ შემოუხდოს ხოლმე აქ ინტელიგენტმა—ისიც დიდი ღვთის წყალობა იქნება, მაგრამ ასეთს უცაბედს ბედნიერებასაც მოკლებული არიან მთიულნი, მთელი კვირეები ისე გაივლის, რომ წამლად რა არის, წამლადაც არ მოუვათ არც ერთი გაზეთი. თვით სიამოვნებით გამოიწერდნენ გაზეთებს, მაგრამ ფოსტა არა ჰმუშაობს. მუხედავად ასეთის იზოლიაციისა—მოხევეები არ დაჰმოყვრებიან იმ ახალს „გმირს", რომელსაც ინდიფერენტიზმი ეწოდება და რომელიც ასე ფრიად საპატიო სტუმარმეგობარია ჩვენი სოფლებისა.

მოხევეებში არსებობს პარტიული სხვადასხვაობა და მკვირცხლადაც იცავენ თავიანთ პარტიის პრინციპებს.

შემცდარი აზრია, ვითომც აქ ნიადაგი დაჰკარგოდეს სოც. დემ. და ეროვნულ-დემოკრატებს დარჩენოდეთ ბურთი და მოედანი. აქაურს ამხანაგებს მომზადებული, ინტელიგენტური ხელმძღვანელი არა ჰყავთ და ამიტომ არ ემჩნევა მათი სიმრავლე და სიძლიერე, თორემ ახლაც იგინი სჭარბობენ ყველა პარტიებს, თუნდა ერთად შეერთებულებს.

მართალია ყაზბეგში არის ფრიად გავლენიანი მღვდელი ბართლომე ღუდუშაური, მაგრამ ეს გავლენა იმით კი არ აიხსნება, რომ იგი თანაუგრძნობს ეროვნულ დემოკრატებს, არამედ იმიტომ, რომ იგი თავდადებულია ხევისათვის და ამიტომ ყველა სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა. მისს შესახებ წინადაც ბევრი კარგი მსმენია და ეხლა პირადათ გავეცანი და დავრწმუნდი გადმონაცემის სიმართლეში. იგი მოხევეების ერთგული მწყემსია და უბადლო გუშაგი, მას თამამად შეუძლიან სთქვას: „მე ვარ მწყემსი კეთილი, მწყემსმან კეთილმან თავი თვისი დასდოს ცხოვართათვის".

მას ხელში იარაღი სჭერია და ყაზბეგლებთან ერთად მედგრად და უშიშრად დაუცავს საქართველოს რესპუბლიკა შემოსეულ ბალშევიკებისგან, მას არა თუ გაუწირავს თავისი თავი, ახალგაზდა შვილიც გაუყვანია ბრძოლის ველზე და ერთად გამკლავებიან დუშმან და მუხანათ მტერს. იგი ერთი თალია კიდეც ჩავარდნია ხელში მეამბოხეებს, ბევრი უგვემიათ, მაგრამ მოყვარულ მოხევეებს მაინც გაუნთავისუფლებიათ.

— —

იმ საღამოსვე ამხ. იაგორა შადურის დახმარებით თავი მოუყარე ყველა მას, ვინც თავს სოც.-დემ. პარტიის წევრად რაცხავა. მათ მართალია ერთმანეთში კავშირი ჰქონიათ, მაგრამ ორგანიზაციული მუშაობა კი კარგა ხანია აღარ უწარმოებიათ არა ყოფილა ისეთი თაოსანი, რომელიც თავს მოუყრიდა ყველას ერთად და პარტიულ მუშაობაში ჩააბავდა.

წინადადება მივეცი მოხევეებში აღეუგინათ დაშლილი ორგანიზაცია. ჯერხნობით კი, ვიდრე სხვა სოფლებს ამ ხანაგებს შემო ერთებდნენ—ამოერჩიათ დროებითი კომიტეტი.

კრებამ ამოირჩია კოლექტივი სამი კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა: სოფლების კოლექტივების შეკავშირება სარაიონო კომიტეტში, პარტიული მუშაობის გაჩაღება, მიყრუებულ სოფლებში ამხანაგების დაგზავნა ს. დ. მოძღვრების გასაცნობად, ხშირ ხშირი საუბრების მოწყობა პოლიტიკურსა და იმისთანა კითხვებზე, რომელთაც აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს; პარტიული ლიტერატურის და გაზეთების გამოწერა.

კრებამ დაადგინა ეთხოვის საოლქო კომიტეტს, რომ გამოცდილი პროპაგანდისტი გამოგზავნონ მოხევეებში სამუშაოდ.

**დ. თურდოსპირელი.**

## ᲐᲜᲘᲙᲝ ᲙᲐᲕᲗᲔᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

აღარა გვყავს ნიჭიერი მსახიობი ანიკო კავთელი. 1916 წელს ქ. ბათუმში ერთმა ჯგუფმა განიზრახა ბათუმში დაცემულ სცენის საქმის ფეხზე დაყენება, მაგრამ ამისათვის ძალები იყო საჭირო. მოვიწვიეთ ჩვენ ორივე მსახიობი ცოლქმარი ვანო ბარველი და ანიკო კავთელი, რომლებმაც გაამართლა კიდევაც ჩვენი იმედები. აღარა გვყავს საყვარელი ანიკო, ის ანიკო, რომლის წრეში ყოფნას მუდამ შეჰქონდა სიხალისე და სიმხიარულე. მშვიდობით! შენგან დახატული ტიპები ამოუშლელი იქნება ჩვენი ხსოვნიდან. მშვიდათ განისვენე, ძვირფასო ანიკო!

**გიორგი ამაღლობელი.**

## ᲗᲤ. ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝ (ᲒᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘ)

სამხედრო საავათმყოფოში აგვისტოს უკანასკნელ რიცხვამდე ავათმყოფებს ეძლეოდათ დღეში თითო კაცს ნახევარი გირვანქა პური, ისიც უვარგისი ავათმყოფისთვის, ისე წამლობა, ჰიგიენა, საჭმელ სასმელი და სხვა ყველაფერი უვარგისი იყო, ამ რამოდენიმე დღის წინათ მოთმინებიდან გამოსულ მუშა ავათმყოფებს და მხედრებს გაუგზავნიათ თხოვნა ბ. სამხედრო მინისტრთან, რომ კეთილ ესურვა და გამოეგზავნა ბ. მინისტრს საავათმყოფოში თავისი თანაშემწე, ენახათ და თვითონ დარწმუნებულიყვენ პური როგორი იყო, და რაციონიც მოემატებინათ, ისე საჭმელსასმელი და სისუფთავე ენახათ, რაც საჩქაროთ შესრულებულა რამდენათაც შესაძლო ყოფილა. ასე რომ, პურის ულუფა გაუდიდებიათ ნახევარი გირვანქა უფრო უკეთესი ხარისხისა, ისე საჭმელსასმელი გაეუმჯობესებიათ რამოდენიმეთ, მაგრამ იმის შემდეგ გაუვლია რამოდენიმე დღეს და ისევ ძველ კალაპოტში ჩამდგარა საქმე. ასე რომ განურჩევლათ ავათმყოფობისა სხვადასხვა ნაირი საჭმელი ერთნაირია უსუფთაო და უვარგისი, ჩაი სრულებით არა აქვთ, დილას მოგიტანებენ ვედროთი ადუღებულ გაუწმენდავ წყალს ზოგი საცოდავი სვამს ადუღებულ წყალს, ჩაის მაგიერ და უმრავლესობა რჩება უჩაიოთ. სასმელი დაწმენდილი წყალი არა, ავათმყოფები უდუღარ, უსუფთაო წყალს სვამენ. სადილს მოგიტანენ ნაშუადღევის 2 საათზე, „ბორშჩს" უხორცოთ, იგი მეტად ბინძურია. ვუჩვენეთ სადაც ჯერ იყო, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს. ბევრი ავათმყოფი უკან უბრუნებენ „ბორშჩს" და სამაგიეროთ ყიდულობენ ვისაც შეძლება აქვს პამიდორს და სხვა რაღაცებს, სჭამენ ისე უმათ; და ვისაც ფული არ აქვს, ისინი შიმშილობას განიცდიან. ხშირათ გაიგონებთ ავათმყოფების კვნესას „ვაი დედა შიმშილით მოვკვდიო". რომ შემოხვიდეთ საავათმყოფოს ეზოში ხშირათ დაინახავთ ავათმყოფებს პერანგის ამარა, ფეხშიშველა დადიან ეზოში, ჩუსტები არავის არ აქვთ, წამალი და სხვა საჭირო მასალა არაა ავათმყოფებისთვის. არც მოპყრობაა რიგიანი საჭიროა ყურადღება მიაქციონ ვისიც ჯერ არს და ცოტათი მაინც გააუმჯობესონ წამლობა და მოვლა ავათმყოფებისა.

ავათმყოფების მონდობილობით: **იასონ ქობულაშვილი და ევგ. რურუა.**

## ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲘᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ვეტერინარია შეადგენს ერთ უმთავრეს ნაწილთაგანს მეურნეობის აპარატისას. მეურნეობა ამ ჟამად საქართველოში ცოტათ თუ ბევრად განვითარებულია განსაკუთრებით პირუტყვთა საქონლის მოვლა მოშენებით და გამრავლებით.

ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის ვეტერინარიას, რომელიც მუდამ დარაჯად ედგა საქონლის მოვლა მოშენებას, რომ დაეცვა ის ყოველივე ავადმყოფობისაგან, განსაკუთრებით გადამდებ სნეულებათაგან, უმთავრესად საქონლის ჭირისაგან.

ვეტერინარიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ გადამდები საქონლის ავადმყოფობასთან საბრძოლველად საჭიროა სხვადასხვა ხარისხის შრატი და ვაქცინები, აქვე საქართველოს რესპუბლიკაშივე შეუდგა მათი დამზადების საქმის მოგვარებას. ამ მიზნის განსახორციელებლად, პირველი აუცილებელი ნაბიჯი გაფართოვება ქუთაისის, საქონლის ჭირთან წინაალმდეგ საბრძოლველ, შრატის დამზადებელ ქარხნისა, რისთვისაც უმთავრესმა სავეტერინარო ორგანომ თავის დროზე აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე საჭირო კრედიტის გახსნაზე.

მეორე ფრიად საჭირო და სასარგებლო მოთხოვნილებაა აგება და მოწყობა ვეტერინარულ ბაქტერიოლოგიურ ლაბარატორიისა, სადაც დამზადდება სხვადასხვა ხარისხის ვაქცინები და შრატები საქონლის გადამდებ ავადმყოფობათა წინაალმდეგ საბრძოლველად. მაგალითად: ციმბირისი არის, ჭლექის, ქოთაოს, ლორის ჩუმის და „როჟის", ფრინველთა ჭირის და სხვა.

ესეთი ლაბარატორიის აშენება უკვე ომამდე დაწყებული იქნა ქ. თფილისში საკუთარ ადგილზე (ვაკეში), აშენდა კიდეც სამი სახლი, მხოლოდ ომმა, მასალის და ხელფასის გაძვირებამ და გადაღებულ მთავრობის მიერ თანხის სიმცირემ დროებით შეაჩერა. რაც შეეხება სპეციალურ ვეტერინარული მხრით თითქმის ყველაფერი შეძენილია, მზათაა, საჭიროა მხოლოდ შენობის შიგნით სამუშაოს დამთავრება, რისთვისაც თფილისის გუბერნიის სავეტერინარო განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე საჭირო თანხის გადასადებად.

ვინაიდან ეს ორი დაწესებულება, პირველი შრატის დამზადებელი ქუთაისის ქარხანა და მეორე თფილისის ვეტერ. ბაკტ. ლაბორატორია, შეადგენენ უმთავრეს ძარღვს სავეტერინარო მოქმედებისას, რომელთა მეოხებით ეხსნება ხელი ვეტერინარიას ებრძოლოს საქონელზე გადამდებ სნეულებათ და აგრეთვე დაიფაროს უკანასკნელიდან თვით ხალხის ჯანმრთელობაც (რადგანაც საქონლის ზოგიერთი გადამდები სნეულებანი ედება ადამიანსაც).

საჭიროა, ამას მიექცეს ვისგანაც ჯერ არს განსაკუთრებული ყურადღება, რათა ვეტერინარიის მიერ აღძრულმა კითხვებმა ჰპოვონ განხორციელება.

**ვეტ. ფერშ. ნ. სხულუხია.**

## ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

1 ოქტომბერს თფილისის სახ. უნივერსიტეტში დაიწყო ახალი აკადემიური წელი. ეს მეტად საყურადღებო მოვლენაა ჩვენი მუშებისათვის. თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენს უკულტურობაუმეცრებას, გონებრივ განუვითარებლობასდა ამაზე დამოკიდებულ მატერიალურ ჩამორჩენილობას და ზნეობრივ დაცემას, უნდა ითქვას, რომ სახალხო უნივერსიტეტი პირდაპირ მოწოდებულია აქ უკულმართობასთან საბრძოლველად და ამ კულტურულ დაწესებულებით უსარგებლობა იქნებოდა მიუტევებელი შეცდომა.

მეცადინეობა სახ. უნივ. ცენტრ. განყოფილებაში იქნება რუსულ ენაზე საღამოობით. აქ დაარსებულია ორი განყოფილება, ერთია საერთო და მეორე სპეციალური. ეს უკანასკნელი იყოფა რამოდენიმე ნაწილად: 1) ფიზიკურტეხნიკური 2) ბიოლოგიური, 3) ეკონომიურ იურიდიული 4) ისტორიულ ფილოსოფიური და სხ. ლექციების მოსმენა უფასოა.

დაწვრილებითი პროგრამა მიიღება სახ. უნივ. კანცელარიაში.

ს ხ. უნ. მეორე განყოფილებაში ნაძალადევში, მეცადინეობა იქნება ქართულ ენაზე.

ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებს აღებული აქვს თავის თავზე საქმის ისე მოგვარება, რომ ლექციებს სისტემატიურად ესწრებოდენ. აღნიშნულ საქმის მოსაგვარებლად. შაბათს 28 სექტემბერს იყო ქართველ ლექტორთა კრება. აღსანიშნავი და სასიხარულოა, რომ ქართველი ინტელიგენცია, იმათთან ერთად, რომლებიც მუდამ იბრძოდენ სახალხო საქმისათვის, თანდათან ებმება კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დემოკრატიულ წყობილების შენარჩუნება და განმტკიცება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების ფართო წრეებში შეტანილი იქნება მეტი სინათლე თუ დემოკრატია კულტურულად ამაღლდება. ეს როლი უნდა იკისროს სახალხო ლექტორებმა. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ფართო წრეებში მეტად დიდია წყურვილი ცოდნის მიღებისა, მაგრამ არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც სისწორით ასრულებდეს ამ ფუნქციას.

ჩვენში მეტად გაძლიერებულია გულგრილობა საზოგადოებრივ საქმისადმი. მაგრამ არის ნიშნებიც განახლება-აღორძინების: ესაა ბრძოლა კულტურისათვის ხალხში მეცნიერების შესატანად და ჩვენ გვწამს, რომ ეს დიდ ნაყოფს მოუტანს დემოკრატიას.

აღორძინებული და კულტურულად ამაღლებული ხალხი ერთი ათასად დააფასებს იმათ ღვაწლს, ვინც მას რაიმე კულტურულ სამსახურს გაუწევს.

**ერ. თ—ძე.**

## ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

(რიხტერის წესის უპირატესობაზე)

ფილოქსერისაგან განადგურებულ ვენახების განახლება ნამყენი ვაზის დარგვით შეიძლება. ამერიკულ საძირეზე დამყნილ ჩვენ ვაზს, პირდაპირ სანერგეში გადარგულს, შედულებამდე ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ელობება წინ და უმეტესი ნაწილი შეუხორცებელი რჩება და ხმება. უცხო ქვეყნის მევენახეებმა ამ მოვლენას თავის დროზე ანგარიში გაუწიეს, მოინდომეს ხელის შემშლელ პირობების თავიდან მოშორება, ამ საქმეში ყველაზე მეტი უნარი მომპელიელმა მევენახემ—რიხტერმა გამოიჩინა. მან პირდაპირ სანერგეში გადარგულ ნამყენების შედულების ხანა 8—10 კვირა, ნამყენის სათბურში გაღვივებით, 8—10 დღეზე ჩამოიყვანა, ამით მან ერთხელ და სამუდამოთ თავიდან მოიშორა შედულების ხელის შემშლელი პირობები და პირდაპირ სანერგეში გადარგულ ნამყენებზე მეტი და კარგათ ნახარები ნამყენი მიიღო. აქ იბადება საკითხი: ამ ჩვენთვისაც სასარგებლო წესს გამოუჩნდენ თუ არა ჩვენ ქვეყანაში მიმდევარნი? ძლიერ ცოტა. ზოგიერთებმა სცადეს, მაგრამ უმჯობესი იყო არ ეცადათ, რადგან მათმა ნაცადმა სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. იქნებ ამ საქმეში კერძო პირებზე მეტი უნარი ყოფილ მთავრობის დაწესებულებებმა ან მათმა მოხელეებმა გამოიჩინეს? უნდა გამოვტყდე, რომ არა, ამათ ბევრად დააგვიანეს ამ წესის. უფრო ადრე შემოღება. აქ უმჯობესია ავალაპარაკოთ თვით მთავრობის მოხელე. ერთი მთავრობის უფროს მოხელეთაგანი 1913 წ. ამყარებდა რა დიდ იმედებს კოლლოდიუმზე არ სტოვებდა უყურადღებოთ რიხტერის წესსაც, ეხება მის კარგ ღირსებებს, მაგრამ ამას თან დასძენს:

„...ყუთებში გაღვივებული ნაზი ნამყენი კავკასიის გაზაფხულის ამინდის ხშირ ცვლილებას ვერ იტანს და უმეტესი ნაწილი გადარგვის შემდეგ ფუჭდება" ამას კიდევ ზედ დაუმატა: „კავკასიის ამერიკული ვაზის სანერგეების ყოველივე ცდამ (ამ წესის შესახებ) უნაყოფოთ ჩაიარაო", ამით მან მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო კოლლოდიუმის ხმარებაზე და ეს წესი კი დროებით დაასამარა. როდესაც იმავ მოხელის, ამ წლის გაზაფხულზე, ამ წესის კარგი შედეგები უჩვენე და თანაც სათბურში ნამყნები გადამწვანებული, უსაყვედურე, რომ ის აგრე რიგათ არ უნდა დაყრდნობოდა სახაზინო სანერგეების ნაცადს, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ სანერგის სათბურში ნამყენის გაღვივება კი არა, თვის ბოლოკის მოყვანაც საეჭვოა. სანერგეების გამოცდილებაზე დაყრდნობა მან ხელსაყრელად ვერ დაინახა და მიმითითა აგრონომ სტაროსელსკიზე და მითხრა: „სტაროსელსკიმ სცადა საქარის სანერგეში, მაგრამ ნაზმა ნამყენმა იმერეთის გაზაფხულის ცივი მიწა ვერ აიტანა და უმეტესი ნაწილი გახმაო". რადგან განსვენებული აგრონომი სტაროსელსკი ჩვენი ქვეყნის მევენახეობის ერთ მამათ მთავრად მიმაჩნია, მე ნება არ მქონდა არ დამეჯერა, მით უმეტეს მე ამ შემთხვევაში იმ დროს საკმარისი გამოცდილება არ მქონდა. ზემო მოყვანილი ამ წესის საწინააღმდეგო მოსაზრებანის უსაფუძვლობა მე თავის დროზე აღვნიშნე ქართულ და რუსულ სამეურნეო ჟურნალში, ეხლა კი, როცა წელს გაზაფხულზედ 56 ათასი ნამყენი გადავრგე ისეთ პირობებში, როგორც გადურგავს სტაროსელსკის და კიდევ სასურველი შედეგი მივიღე, ვეჭვობ, რომ ეს უკანასკნელი საწ ნააღმდეგო საბუთიც საფუძვლიანი იყვეს. თუ აგრონომ სტაროსელსკის ან სხვებს ამ წესის წარმოებაში ხელი შეეშალათ, სასურველი ნაყოფი ვერ მიიღეს და გული აუცრუვდა ამ წესსზე— ეს აიხსნება მხოლოდ ამ წესის უცოდინარეობით და არა კავკასიის გაზაფხულის ამინდის ხშირი ცვლილებით ან კიდევ ზედმეტ გვალვა-სინესტით. მე არ ვიტყვი, რომ გაზაფხულის ამინდის ხშირ ცვლილებას და ან ზედმეტ გვალვა-სინესტეს ცუდი გავლენა არ ჰქონდეს ამ წესით გადარგულ ნამყენზე, მაგრამ გარწმუნებთ, რომ იმდენი არა, რამდენიც ჩვეულებრივ წესით დამზადებულ ნამყენზე აქვს. ვიხსენიებ რა ჩვენი ზოგიერთ მეურნეების სიმართლეს მოკლებულ საწინააღმდეგო მოსაზრებებს ამ წესის შესახებ, მე ძალა უნებურად ეჭვი მებადება თვით რიხტერზე; ალბათ მას, მომპელიაში სანერგის მქონე მევენახე-კომერსანტს, ზედმეტათ მიაჩნია მნახველს კარგათ გააცნოს ეს წესი, თორემ იმ შეცდომებს, რასაც უშვებენ ჩვენი მეურნენი ამ წესის წარმოებაში არა მგონია იქ— რიხტერთან ადგილი ჰქონდეს. ამ დასკვნამდე მიმიყვანა მე 1915 წ. თფილისის სამეურნეო თათბირზე ქუთაისის საგუბერნიო მევენახეობა მეღვინეობ ს კომიტეტის უფროს სპეციალისტთან ნალაპარაკევმა, რიხტერის წესის განმარტებაზე მან მიპასუხა: „სრულებით ევრე არ აწარმოებს მაგ საქმეს თვით რიხტერიო".

ბევრ ასეთ შეცდომებს ექნება ადგილი ჩვენ მეურნეობაში თუ თავის დროზე ხალხს არ მოევლინება სამოქმედოთ სხვადასხვა დარგში დახელოვნებულნი, საქმის და ხალხის მოყვარე, მცოდნე გამოცდილი სპეციალისტები, რომელნიც სიტყვას საქმედ აქცევენ და ისედაც დაბალ საფეხურზე მდგომ ჩვენ მეურნეობას ცოტათი მაინც წინ წამოსწევენ. ამ მხრივ საყურადღებოა პატივცემულ სვ. ხუნდაძის მოწოდება:

„საქართველო თავის მეურნეობის მიხედვით საჭიროა დაიყოს რაიონებათ და თვითოეულ რაიონს უნდა დაენიშნოს გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტი, რომელიც ხალხს ასწავლის [illegible] მეურნეობის გაუმჯობესობას და გაფართოვებას. ასეთ სპეციალისტს უნდა უყვარდეს თავის [illegible] უყვარდეს ქართველი ხალხი და სოფელი, როდესაც [illegible] გან გაზეთის საშუალებით მოუხერხებელია ამ საკითხის ფართოდ გაშუქება და სამეურნეო ჟურნალი კიდევ ჩვენ არ მოგვეპოვება, ვეცდები მოკლეთ, ორიოდე სიტყვით მკითხველს გავაცნო ამ დარგში ჩემი ხუთი წლის გამონაცადი ორი წლის განმავლობაში (1913 და 1914 წ.) ამ წესით ყნობას ვაწარმოებდი ს. საგურამოში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მამულში, ორივე წელმა სასურველი შედეგი მოგვცა. ამ მოვლენას ანგარიში გაუწია თფილისის საგუბერნიო მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა და 31 სექტემბერს 1914 წ. კომიტეტის სხდომაზე დაადგინეს შემოეღოთ ეს წესი ჩუმლაყის ახალ გახსნილ ამერიკული ვაზის სანერგეში. სამინისტრომაც საჭირო თანხა გადასდო კიდევ ამ წესის საცდელათ, რადგან ის უკვე დარწმუნებული იყო, რომ ეს წესი კავკასიისთვის არ ვარგოდა. 1915 წელს ამ წესის მოსაწესრიგებლად მიწვეულ ვიყავ ჩუმლაყის სანერგეში. იმ წელს ნამყენის გაკეთება არ მოხერხდა, მხოლოდ გავმართეთ შესაფერი სათბური სამი განყოფილებით: დერეფანი, გასაღვივებელი და გარეგნულ ჰაერთან შესაჩვევი ოთახები. სამი წლის განმავლობაში ამ წესით ვაღვივებთ სათბურში ნამყენებს (50—100 ათასამდე), და სამივე წელმა, მიუხედავათ ხელი შემშლელ პირობების, კარგი შედეგი მოგვცა. ამ წესის უპირატესობა გამოიხატება არა მარტო მეტი ნამყენის მიღებით, არამედ იმით, რომ ყუთებში გაღვივებული ნამყენი შეიძლება გადირგოს პირდაპირ სამუდამო ადგილზე. ამ რიგათ, ახალ გაღვივებულ ნამყენით გასულ წელს გავაშენეთ ორი დესეტინა ვენახი და მიუხედავათ შარშანდელ არა ჩვეულებრივ გვალვისა, 87 პროც. მივიღეთ. ეს ცდა, ორი დესეტინა ვენახის ახალი ნამყენით გაშენება, პირველ ნაცადათ ჩაითვლება არამც თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ ვგონებ ევროპაშიაც კი, თუ რა რიგ სასურველ ნიადაგზე არის ეს წესი დაყენებული ჩუმლაყის სანერგეში, ამის დაფასება სანერგის მნახველ გამოცდილ სპეციალისტებისათვის მიმინდვია და ვისაც კიდევ ეჭვი ეპარება ამ წესის უპირატესობაში, ვსთხოვთ ადგილობრივ მობრძანდეს და ინახულოს სანერგე. ჩუმლაყის სანერგემ უნდა ითამაშოს იგივე როლი კახეთისათვის, რაც საქარის სანერგემ ქუთ გუბერნიასათვის, ამისათვის ჩემი აზრით ჩუმლაყის სანერგის პატრონობა მთელმა კახეთის ერობებმა უნდა იკისროს. ვიმედოვნებ, რომ თუ სანერგეს ჯეროვანი ყურადღება ექნა მიქცეული, მაშინ ის შესძლებს თავის მიზნის პირნათლად შესრულებას და სანერგე თავის ახალ-ახალი გამოცდილებით დიდ სარგებლობას მოუტანს კახეთის მევენახეობა მეღვინეობას, დასასრულ სრული დარწმუნებული ვარ, რომ სანერგით დაინტერესებულ კახელ მეურნეთ მიწათ-მოქმედების სამინისტროც დიდ დახმარებას გაუწევს.

**მეურნე-მევენახე კ. ნაკაშიძე.**

## Ს.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

**ს. ხიდისთავი** (გურია). 19 სექტემბერს შესდგა ხიდისთავის რაიონული პარტიული ყრილობა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ი. ლომთათიძე. მდივნათ ამხ. ს. შ—ია პირველად მოხსენებას აკეთებს გურიის ცენტ. კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. გ. კოპლატაძე.

მომხსენებელი საერთოთ ეხება მას, თუ რევოლიუციის პირველ დღეებში როგორ აღტაცებით ეგებებოდა ხალხის ფართო მასსა თავისუფლებას და ყველანი რევოლიუციონერებათ გვევლინებოდა, მაგრამ შემდეგ თანდათან ჩამოყალიბდა რევოლიუციის დამცველი წრეები გაითვალისწინა რა ყველა ეს გ. ც. კომიტეტმა საჭიროთ დაინახა პარტიულ მუშაობას გაასკეცებული ენერგიით მოკიდოს ხელი. ამისთვის კი საჭიროა ვიცოდეთ როგორია შემადგენლობა ჩვენი პარტიის გურიაში, თვითეულ რაიონში რამდენი წევრები ირიცხებიან, როგორი იყო ამ დრომდი პარტიული მუშაობა, რამდენად კარგავდა ის თავის წმინდა პარტიულ სახეს და სხვა.

ამასთანავე კომიტეტმა საჭიროდ დაინახა არჩევნები ხდებოდეს რაიონულ კრებებზე და არა ისე, როგორც ეს ამ დრომდი ხდებოდა.

მეორეთ კრება ისმენს მოხსენებას კოლექტივის თავმჯდომარისას, განვლილ პარტიულ მუშაობის შესახებ რაიონში. კრება უმნიშვნელო შეკითხვების შემდეგ მოხსენებას იწონებს და გადადის მორიგ კითხვებზე.

კოლექტივის თავმჯდომარე კრების საყურადღებოთ აქვეყნებს შემდეგს: კოლექტივის ერთ-ერთ კრებაზე, ერობის ხმოსანთა კანდიდატების სიის გადაშინჯვის დროს, ზოგ კანდიდატების შესახებ გამოითქვა აზრი, რომ შესაძლე-

ბელი იყო ერობისათვის უფრო მომზადებულ, სპეციალურ ცოდნის კანდიდატების გამონახვაო და სურვილი გამოითქვა თუ კი შესაძლებელი იქნებოდა რაიონებსაც მისცემოდა უფლება კანდიდატების დასახელების. ამის გამო ერთ ერთ ამხ. კანდიდატის გარშემო გავრცელდა შეუწამო და უსაფუძვლო ხმები, კოლექტივი აცხადებს, რომ არავითარი დადგენილება არავისზე გამოტანილი არ ყოფილა და ყველაფერი გაუგებრობაზე არის აშენებულიო. კრება ისმენს გავრცელებულ ხმების უსაფუძვლობას სამწუხაროთ აღნიშნავს მას და გადადის მორიგ კითხვაზე.

შემდეგ კრება გადადის არჩევნებზე. გ. ც. კომიტეტის წევრებათ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: გ. კოპლატაძე, ი. ლომთათიძე, ს. მათითაიშვილი.

რაიონულ კოლექტივის წევრებათ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: დ. ქელენტი, გ. ჯიბლაძე, სანდრო შონია, ბ. მეგრელიძე, ს. მათითაიშვილი, ბ. გოგიბერიძე, კ. თავართქილაძე, ი. ლომთათიძე, თ. ლომთათიძე, ს. შონია, მ. კალანდაძე, ფ. შონია, ს. კალანდაძე, კანდიდატებათ: ლ. კვაჭანტირაძე. ელ. ქელენტი, ერ. ლომთათიძე, სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: ამხ. ე კაცაძე, მირ. კალანდაძე, დ ფუცხიშვილი.

შ.

---

**ხოფ. ქვემო ჭალა.** (ქართლი) ამა წლის 21 სექტემბერს მოხდა ქვემო-ჭალის რაიონის ს. დ. მ. პ. მე პარტიული შეერთებული კრება. თავმჯდომარეობს გორის ს. დ. მ. პ. ცენტრის წარმომადგენელი ამხ. კოლა კაციაშვილი ამხ ალ. ფრუიძის მდივნობით. დღიურ წესრიგად მიღებულია შემდეგი კითხვები:

1) არჩევა რაიონული ს. დ. მ. პ. კომიტეტისა.
2) ერობის არჩევნების შესახებ.
3) პარტიის წევრების შესახებ.
4) რაიონის მდგომარეობა.
5) გაზეთების და სხვა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საქმე და მომენტის შესახებ.

კრების გახსნისას ამხ. თავმჯდომარე და ამხ. შაქრო უზნაძე აკეთებენ ვრცელს მოხსენებას პირველი საკითხის შესახებ. ისინი ასაბუთებენ ადგილობრივ მჭიდრო ორგანიზაციის შედგენის აუცილებლობას აქ, რომელიც მთელი ძალ-ღონით შეეცდება ს. დ. მ. პ. უფრო გაძლიერებას და გაღრმავებას რაიონის მასაში. მორიგად მოხსენებაა მე 2-რე საკითხის შესახებაც. ამის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილებანი: 1) გაეცნო რა კრება ამ საკითხის მნიშვნელობას დაადგინა: არჩეულ იქმნას რაიონის სოც. დემ. მუშ. პარ. კომიტეტი შვიდი კაცისაგან, სამი კანდიდატით, რომელიც დაიწყებს პარტიულ მუშაობას რაიონში და მის უფრო გაძლიერებას. არჩეულ იქმნენ შემდეგნი ამხანაგნი: იაკოფა გასიტაშვილი ს. კასპიდან, შაქრო უზნაძე ს. სამთავისიდან, მიტრო ფანჯარაშვილი ს. საკორინთლოდან, იაკოფა ნონიაშვილი ს. ოკამიდან, ლექსო ქოთოლაშვილი სოფ. ლამისყანიდან, ვანო ქენქაძე (ხორბალელი) სოფ. ნადარბაზევიდან, სინო სოლომონ კუდუხაშვილი ს. საკორინთლოდან. კანდიდატები: მიხა მაყაშვილი ს. ლამისყანიდან, შაქრო ოქროპირიძე ს. კოდის წყაროდან და სანდრო ფრუიძე ს. ქვემო-ჭალიდან. ამ არჩეულთა კრება დაინიშნა ოთხშაბათს 25 სექტემბერს თანამდებ პირთა ასარჩევად. 2) ერობის შესახებ კრება სასურველად სცნობს ხელი შეუწყოს ერობის არჩევნებს და ყოველი ღონე იხმაროს პარტიული კანდიდატების გასაყვანად. კრებამ საჭიროდ სცნო მე 7-დე საარჩევნო უბნის დაარსებაც სოფ. სამთავისში, ამ უბნის კომისია: ნიკა ჩადუნელი, ტატა ცხვედაძე და მიხა ჩერქეზაშვილი; მეორე უბნის (ლაიანის) კომისიაში მღვდელი ნებიერიძის მაგივრად აირჩა იაკოფა რევაზიშვილი, რაიონის ხელმძღვანელ კომისიაში ნიკა თავშავაძე ფრონტზე წასული ამხ. ტატე ხუბაშვილის მაგიერად. უბნებად დანაწილება რაიონის და მათ კომისიების არჩევნები მოხდა წინანდელი რაიონის კოლექტივის კრებაზე, 1 სექტემბერს დაჰყო რაიონი 6 ნაწილად და აარჩია მათი კომისიები, რომლებიც ჩამოწერილია იმ კრების ოქმში; რაიონის ხელმძღვანელ კომისიად არიან: ბაგრატ ილურიძე რაიონის კომისარი, ილიკო ლვინაძე და ტატე ხუბაშვილი.

მდივანი ალ. ფრუიძე.

# მუშათა შორის

**ტყიბულის მუშებში** 19 ამა სექტემბერს რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა ყრილობის დავალებით გავემგზავრეთ სამი ამხანაგი და ერთიც გზათა სამინისტროს რწმუნებული ინჟ ამაშუკელი ტყიბულში, რომ გაგვეგო რამდენათ შეეფერებოდა მდგომარეობას ის მოთხოვნები, რომელიც იყო იქაურ მუშებისაგან წამოყენებული. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ წარმოება ვერ მიდის წესიერათ და ამის მიზეზი კი არის ის, რომ მუშები სრულიად ორგანიზაციის გარეშე დგანან. თუმცა საბჭო ჰყავთ, მაგრამ ჰაერშია გამოკიდებული. წარმოიდგინეთ მუშები გაფიცვას აცხადებენ ისე, რომ არც გაფიცვის ბიურო ჰყავთ და არც საბჭოს ეკითხებიან, თუმცა უნდა ითქვას, რომ მუშათა მდგომარეობა, ქონებრივის მხრით ყველა დანარჩენ სახაზინო მუშა-მოსამსახურეებზე უმჯობესია; ამ უკანასკნელ მათ გაფიცვას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მაგ. მოითხოვდენ 5 გ. ლობიოს, ძაფს და საპონს, რომელიც თავის თავად ცხადია თუ ექნებოდა ჩვენს მთავრობას ყოველთვის მიაწოდებდა, როგორც იყო შეპირება. ჩვენს მისვლამდის იქ ყოფილიყვენ ქ. გუბ. კომისარი, შრომის კომისარი, რომელთაც მოეხდინათ გავლენა და მუშაობა უკვე დაეწყოთ ახსნა-განმარტების შემდეგ. დღიური ჯამაგირი 18 წლამდე 12 მანეთი დღეში, შემდეგ 20 და 24 მანეთი არა ხელოსნებს, 27 მანეთი ხელოსნებს.

3 გ. პური ან მჭადი დღეში 40 კ. გირვანქა, აქვთ სასადილო და სხვა, რასაც მთავრობა მაწოდებს თავის ღირებულ ფასებში, რომ წარმოებას მიეცეს ორგანიზაციული ხასიათი და სირგებლობა ნახოს ხაზინამ, საჭიროა აქ გამოცდილი ორგანიზატორი. აქ მუშაობს დაახლოვებით 2,000 კაცი, მათ შორის 60 ჩინელია, 70 კაცამდე რუსი სომეხ-ბერძენი, დანარჩენი სულ ქართველები არიან; უმრავლესობა მახლობელ სოფლელები, რომლებიც კვირა უქმე დღის სახლებში გარბიან და ამ ნაირად წარმოება ფერხდება.

კვირა უქმე დღეებში დიდ დახმარებას უწევს წარმოებას არა ქართველი მუშები, რომლებიც იქ იმყოფებიან. კარგი იქნება, რომ ჩვენი მუშები შეიგნებდენ მონაპოვარ თავისუფლების მნიშვნელობას და ერთგულად მოეკიდებოდენ საერთო საქმეს, ამისათვის მოწვეულია ყველა ორგანიზაციებიდან წარმომადგენლები კრებაზე და იმედია ამ დღიდან მაინც ჩაეყრება მტკიცე ნიადაგი ორგანიზაციულ მუშაობას ჩვენ ახალგაზრდა სახელმწიფოში. უსურვებ მომავალში აღარ განმეორებულიყოს ჩვენ შორის გაუგებრობა.

ერთ მოვლენას უეჭველად ხაზი უნდა გაესვას: აქ არიან კანტორის თვიური მოსამსახურენი ტელეფონისტიდან ინჟინრამდე, არავითარი მომატება ჯერ არ ქონიათ, ეგრეთვე საავადმყოფოს მოსამსახურეთ. რაც ყურადღების ღირსია, თორმეტ არის კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ 120 მანეთი აქვს თვიურად, საჭიროა დროზე ყურადღების მიქცევა ვისაც ჯერ არს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საუკეთესო სათბობი წყარო და დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს ტყიბულის ქვა-ნახშირის წიაღთაროებს,— ამისათვისაც იქ უნდა იყოს არა მოხეტიალე მუშები, არამედ დისციპლინის და ორგანიზაციის მცოდნენი. მაშინ აღარ გავხდებით ჯარუშეთაგან ყბად აღებული.

დ. ი. ლორთქიფანიძე.

# პროვინცია

**ხოფ საგარეჯო.** სადგურ საგარეჯოს მახლობლათ რამოდენიმე დღის წინათ, მთავრობის განკარგულებით მოვიდნენ ჯავახელები, რიცხვით 1800 სული, ახალქალაქის მაზრის ს. ხიზაბავრის მცხოვრებლები. გადმოხვეწილებს უპირებენ დასახლებას იორს გაღმა ყოფილ ბერძნების სოფელში, სალალოში. მდგომარეობა მათი აუტანელია. ამ სურსათის კრიზისის დროს ძალზე უჭირდებათ ცხოვრება. პურს რომ ვერა ყიდულობენ, სხვადასხვა ხილეულობით იკვებებიან. ამის შემდეგ ცხადია, ავადმყოფობა უფრო გავრცელდება.

სოფ. საგარეჯოში რამოდენიმე ხანია იჩინა თავი სხვადასხვა სენმა და მრავალი ხალხიც იმსხვერპლა. ს. საგარეჯოს და მის ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებლები გულგრილად უყურებენ თავიანთ მოძმე ჯავახელების გაჭირვებას. ვერა გრძნობენ ჯავახელების გულის ტკივილს, ვერ უწევენ სათანადო დახმარებას გაჭირვებულებს, წყრომით და ლანძღვით უმასპინძლდებიან ისედაც დატანჯულ ჯავახელებს. საჭიროა მოინტელიგენტი, შეგნებულმა პირებმა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ამას, შეაგნებინონ ხალხს თუ ვინ არიან ჩვენთვის ჯავახელები, აუხსნან ხალხს, თუ რამ აიძულა ისინი, რომ გადმოსახლდნენ ჩვენს სოფელს ახლო, გამოიღონ თავისი წვლილი მათ სასარგებლოთ, და ასე ამ რიგათ დაიცვან მათი ფიზიკური არსებობა.

ვ. მამისაშვილი.

---

**ძირა-თავახი** (შორაპ. მაზ). ორი წელიწადი არის, რაც ძირა თავახში არსებობს კოოპერატივი „სინდისი“, მაგრამ ამ დუქანს არ მისცეს არავითარი გასაქანი იქ მოკალათებულმა გამგეობის წევრებმა. ამ ორი წლის განმავლობაში ეს დუქანი წარმოადგენდა კერძო ვაჭრის დუქანს, და არა კოოპერატივს. ის არ იყო კავშირში ჩაწერილი და რასაკვირველია კავშირი საქონელს არ აძლევდა მათ: ისიც იყო ბოლო დროს დუქანმა კინალამ სული დალია, მაგრამ აქაური სოფლელი ხალხი არც ისეთი ყრუები გამოდგენ, როგორც ეგონათ. პირველათ ხალხისგან საყვედურის მეტი არაფერი ისმოდა; ჩვენ კერძო დუქანში უფრო იაფათ ვშოულობთ ყველაფერს ვიდრე ჩვენ კოოპერატივშიო და ესეც მართლა ისე ხდებოდა სწორეთ, თურმე მოტანილ საქონელზე ფასებში პირისპირზედ მეტს აწერდენ და ისე ყიდდენ წევრებზედ. ბოლოს ამ ვაჟბატონებზედ ამანაც არ იმარა და 5 მა თვემ ისე განვლო, რომ ერთი ერთ ანეთის ქაშაურობა, დუქანში ერთ წუმწუმის კოლოფსაც ვერ იპოვნიდით.

ზოგიერთი ვაჟბატონები კი ხალხს უქადაგებდნენ კრება მოეწვიათ და თავ-თავისი საწევრო პაის ფულები მიეღოთ, თორემ საქონელი აღარსად იშოვება და თქვენი ფულები კი ტყუილად არის გამცდარიო. ხანდახან კიდევაც ერთიმეორეს ხშირათ დაუწყებდენ კინკლაობას ხოლმე, რომ შენ არა, დუქანში საქონელი ბევრი იქნებოდაო და ხალხს ატყუებდენ და სწორეთ ესეთ ქაშპობაში სურდათ ხალხისთვის თავი მოებეზრებინათ და დუქნის ფულები თვითონ შეეჭამათ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, როდესაც ხალხს თავი მოუყარეს, ხალხმა მაშინვე ანგარიში მოითხოვა. ანგარიშის დროს აღმოჩნდა ფული გაფლანგული და დანარჩენები კი ეუბრებოდენ. კასირის სიმონ ურეხელიძის ხელში ამოაჩინეს 2700 მან. და დუქნის გაცდენა და დანარჩენებს კი სურდათ დუქანი დაეხურათ. ხალხმა მაშინვე წინადადება მისცეს სიმონ ურეხელიძეს გაესწორებია 2700 მან. და ამხანაგებთან ერთად თანამდებობიდან გადამდგარიყო მაშინვე.

იმ დღიდან კი სიმონ ურეხელიძე ერთ კვირაზედ მეტი იყო სადღაც მოფარებული და სრულ ანგარიშს არ ასწორებდა. ახალმა გამგეობამ მოიწვია კრება მაისის ... რიცხვებში და ხალხს აუხსნეს ყველაფერი ს. ურეხელიძის ესეთ უსინდისო მოქცევაზედ, ხალხმა მაშინვე ადგილობრივათვე გადასწყვიტეს, რაც ფული იყო დუქანში გაფლანგავი გადაეცემოდა ახალ გამგეობას და მიეცემოდა კიდევ დუქანს შეძლების დაგვარათ დახმარება ფულით და ს. ურეხელიძისთვის უნდა ჩამოერთმიათ ძალით (იმ დღესვე) 2700 მან. სადირალო; მაგრამ ხალხმა სამი დღის ვადა კიდევ მისცა. მესამე დღეს მართლაც ს. ურეხელიძეც გამოჩნდა და მოიტანა 2000 მან. და 700 მან. კი ზედმეტ ანგარიშში გამოაცხადა, ვრო 700 მ. ორ ჯელ მაქ ხელი მოწერილიო და დანიშნეთ მედიატორებიო და ეხლა მედიატორებსაც უარი შემოუთვალა, როდესაც მედიატორებს ნიშნავდენ იმ დღეს კიდევ ამოუჩნდა ს. ურეხელიძეს 100 მან. სხვა ფული, რომელიც ხალხმა მაშინვე ჩამოართვა. მას ძალით დანარჩენსაც ჩამოართმევენ.

მადლობის ღირსია ახალი გამგეობა, რომელიც იმედია ენერგიულად იმოქმედებს.

გზირი.

---

**ხოფ. სალხინო** (სამეგრელო). ეს რამოდენიმე თვეა, რაც მთელი სამეგრელო ანარქიის ალშია გახვეული. ამ უკანასკნელ ხანებში ბოლშევიკურმა მოძრაობამ ნამდვილი ყაჩაღური ხასიათი მიიღო, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მთელ სამეგრელოში ამ მოძრაობას მეთაურობდა ნაპოლიციელი და ნაყაჩაღარი ხალხი. ღამე ისე არ გავიდოდის, რომ ვინმეს არ დაეცნენ და რამე არ წაართვან. ერთი თვის წინეთ გორიდიდან ჩამოვიდა ცნობილი ყაჩაღის ხაჟომიას რაზმი და დაეცა სალხინოს მოვაჭრეებს; წაიღეს ასიაც ათას მანეთზე მეტათ ღირებული სხვადასხვა საქონელი; საზოგადო კოოპერატივიდანაც წაიღეს ექვსი ათასი მანეთის ნივთი.

ანარქიის ჩასაქრობად აქ პირველად ჩამოვიდა ბ. ლოლიტის რაზმი, მაგრამ ჯარის წასვლის შემდეგ ბოლშევიკებმა ისევ მოიყარეს თავი და დაიწყეს გამოსვლები. მეორეჯერ ჩამოვიდა სენაკის რაზმი, რომელსაც მეთაურობდა სენაკის მაზრის უფროსი მარღანიძე, მილიციის უფროსი თ. ჩიქვანაია და ოდიშარია. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩიქვანაიას და ოდიშარიას მოქცევამ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა სალხინოში. მეტისმეტად შეუფერებლად იქცეოდენ; მართალს და მტყუანს ყველას მათრახით უმასპინძლდებოდენ, გარჩევა არ იყო. ვინ იტყვის, რომ რეპრესიები საჭირო არ არის, მაგრამ მართალსაც გარჩევა უნდა.

ღამით მილიციონერები დაეცენ სახლში ლადი ცავას, რომელიც ბოლშევიკებს ემალებოდა, მოსთხოვეს, რომ მას კარი გაეღო. ცავას ისინი ბოლშევიკები ეგონა და კარები არ გაუღო, რის შემდეგ დაუწყეს სახლს სროლა, ცავამ სროლითვე უპასუხა და ერთი მილიციონერი მოკლა რევოლვერით და თითონ გაქცევით თავს უშველა. მილიციონერებმა სიბრაზით ცავას სახლი დაუწვეს. ამ გარემოებამაც ხალხში უკმაყოფილება დაბადა. მათი წასვლის შემდეგ ბოლშევიკები უფრო გაძლიერდენ; მილიციონერების მოქცევა სადემაგოგიოდ გამოიყენეს. 3 სექტემბერს ჩამოვიდა გედევანიშვილის რაზმის ნაწილი შაუშიას მეთაურობით, მასთან ჩამოვიდა გუბერნიის კომისრის რწმუნებული ბ. ნორაკიძე. მეორე დღეს მოხდა საზოგადო კრება, კრებაზე მიმდინარე მომენტზე შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს ბ. ნორაკიძემ, ჯორჯიკიამ და სხვებმა. საზოგადოებამ მათი სიტყვები გულდასმით მოისმინა და საქართველოს რესპუბლიკას მთავრობას ერთგულობა შეჰპირდა. საზოგადოება ბურუსიდან ეხლა ერკვევა და ხედავს, რომ ის მოტყუებული დარჩა ბოლშევიკებისაგან. საუბედუროთ ეს ჯარი არ დარჩა აქ, ის საჩქაროდ გაწვეულ იქნა სოფ. მუხურში (ზუგდ. მაზ.) და აქაური საქმე (ადმინისტრაციის შედგენა, თოფების შეკრება, არა სამედო პირების დაპატიმრება და სხვ.) გაუთავებელი დარჩა. ჯარმა და მისმა ხელმძღვანელებმა თავისი კარგი მოქცევით საზოგადოებაში ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს.

სალხინოელი.

---

**ერქეთი** (გურია) კვირას 15 სექტემბერს ს. ერკეთში შესდგა ერკეთის საზოგადო კრება. დღის წესრიგში გატანილი იყო ორი კითხვა: 1) საყორნიის გზის გაკეთება და 2) დაბა ჩოხატაურში გიმნაზიის გახსნა. ორთავე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ერ. საზ. ადმ. კომიტეტის თავმჯდომარე ჰამლეტ მერიძე. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, კრებამ დაადგინა, დაეხმაროს მხარი მთავრობის დადგენილებას, და გაწვეულ იქნეს საზოგადოებიდან ასი კაცი მთავრობის ხარჯით მხოლოდ სურსათის მხრივ და მუშის ღირებულებას ჩვენ ვიკისრებთო. მეორე კითხვაზე მომხსენებელმა აღნიშნა სწავლა-განათლების მნიშვნელობა და ხაზგასმით სთქვა რომ, აუცილებელია ჩვენთვის გიმნაზიის გახსნა ჩოხატაურში. ჩვენ ყოველივე ღონის ძიება უნდა ვიხმაროთ, რათა კოწია ერისთავის სახლი კერძო პირებმა არ ჩაიგდონ ხელში, ის ჩვენ ხალხმა უნდა ვიყიდოთ გიმნაზიის შენობისათვის და ამისათვის საჭიროა ფული, რომელიც ჩვენ უნდა ვიშოვოთო.

კრებამ ამას დიდი სიხარულით შეიგება, აირჩიეს სამი კაცი: ფ. ცქვიტინიძე, პ მამალაძე, ლ. ქელენტი. ეს სამი კაცი უნდა შეუერთდეს სხვა საზოგადოების არჩეულ კომისიებს და უნდა იღონონ ყოველი ღონე, რომ კოწია ერისთავის შენობა შეიძინონ. შემდეგ გადაწყდა სხვადასხვა წვრილმანი კითხვები.

სვე. ვანიშვილი.

---

**ხ ორმეთი** (გურია). 1 სექტემბერს აქ გაიმართა წარმოდგენა. შემოსავალი იყო 825 მანეთი. ხარჯებს გარდა წმინდა შემოსავალი 573 მანეთი. აქედან 20 პროც გადაეცა ადგილობრივ სამკითხველოს, დანარჩენი ღარიბ მოწაფე ე. გ—ძეს. იმავე ღამეს სამკითხველოს სასარგებლოთ გამართულ იქნა ვახშამი, რომლიდანაც წმინდა შემოსავალი შედგა 600 მან. მადლობის ღირსი არიან სცენის მოყვარენი, რომელთაც უსასყიდლოთ იკისრეს წარმოდგენაში მონაწილეობა.

ჯ.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესათ ადგილი მისცეთ ამ ჩემს მცირე წერილს და დაბეჭდოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

მე გადმომცეს, რომ ბ-ნმა სანდრო მაისურაძემ მოხსენება გააკეთა საქართველოს ეროვნულ საბჭოს სოციალდემოკრატიულ ფრაქციის კრებაზე ვითომ მე, ილიკო ფილიევს, შემედგინოს რაზმი და ვძარცვავდე როკის რაიონის მცხოვრებთ. მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ არასოდეს არავითარი რაზმი არ შემიდგენია და ის რაზმი, რომლის შესახებ ბ-ნმა მაისურაძემ მიიღო ცნობა შედგენილი იყო როკის რაიონში მცხოვრებელი ნამამასახლისარი ნიკა ფილიევის მიერ, რომელთანაც არც უწინ და არც ეხლა არავითარი კავშირი არა მქონია. ნიკა ფილიევის რაზმის შესახებ ცნობა გადაცემული მაისურაძისათვის მართალია, მაგრამ არაა მართალი ცნობა ჩემს შესახებ.

ილიკო ალექსის ძე ფილიევი.

---

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ მოგვეთავსოთ შემდეგი: ჩვენ სად. კასპის მოსამსახურეებმა და აგრეთვე სოფლის მცხოვრებლებმა შევკრიბეთ ფული (დაახლოვებით 150 მ.) ბათუმის დამცველ ჯარისკაცების სასარგებლოდ და მივაბარეთ ხსენებულ სადგურის უფროსს ბ-ნ დოლონაძეს, რომელსაც ეს ფული უნდა შემოეტანა თქვენ პატივცემულ გაზეთის რედაქციაში დანიშნულებისამებრ გადასაცემად აგერ ხუთი თვე გადის და ამის შესახებ არაფერი ისმის.

ბ-ნ დოლონაძესაგან მოვითხოვთ გვაცნობოს ამის მიზეზი.

ამხანაგების მონდობილობით სადგურ კასპის მოსამსახურე ი. დოლონაძე.

# ფონდი

ქ-ნ ეკატერინე ტყემალაძემ ჩვენს რედაქციას შემოსწირა ლატარიის ერთი მომგებიანი ბილეთი.

# ფოსტა

ხოფ. ახალ საყდრის სამკითხველოს გამგეობას: გაზეთი გეგზავნებათ.

დ. ბანძა. ნიკოლოზ ტ. გაბუნიას: გაზეთი გეგზავნებათ.


# განცხადებანი

**სახალხო სახლი.**

სახ. სახლ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრე. ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს, 1918 წელს სეზონის გასახსნელად წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური პიესა

**№ 21 +**

(ნომერი ოცდაერთი ჯვრით)

დრამა 4 მოქ. ია ეკალაძისა.

დას. წყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ. 80 კ.—50 კ. მდე.

შემდეგი წარმოდგენა 9 ოქტომბერს.

რეჟისორი კ. შათირიშვილი. რეჟ. თანაშემწე ვლ. ბადრიძე.

**ფოთის სახელოსნო სკოლის ხაზგა**

აცხადებს, რომ აღნიშნულ სკოლაში მისაღები გამოცდები დაიწყება 7 ოქტომბერს. სწავლა—10 ოქტომბერს.

---

საოლქო სასამართლოს ახლოს

—იყიდება— ორ სართულიანი **სახლი**

13 ოთახით და ერთი სარდაფით. ბანკის ვალი აქვს 4000 მან. სახლი ღირს 40000 მან. იკითხეთ: მოსკოვის და იზმაილოვის კუთხე. მკერავი ელიაროვი.

---

ექიმი
**ივანე რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბ ნა 4. ტელეფონი 11—06.

---

ქ. ხ ო ნ ი.
ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

---

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

**მკ. ქალი რ. ბ. ზიბლო-ხახაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9 - 26

---

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, სა ბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმზოვიის აფთიაქის გვერდით.

---

ექიმი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

---

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხიძისა**
ყოფილი ასისტენტი ... კლინიკისა ვენაში და პარიზში ავათმყოფების ... დილის 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

---

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53. (24—22)

---

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეზხაპუნება. 606 და 914 შეზხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

---

**ექიმი ზ. ნ. მუხაძე**
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ... ცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, ... ტელ. № 5—77.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

---

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

---

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
**პეპელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეზხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15 ტელ. 18—03.

---

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

---

**ქართული წიგნთა სავაჭრო**
1878 წ. „ჯანაშვილისა“ 1918 წ.
გრიგოლ ჩარკვიანისა
თფილისი, ნაძალადევი, ქალ. 11 ნაწ. ხუდადაშვილის ქ. № 14, შეფელის აფთიაქის ახლოს. (3—3)

---

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა პირველი
**ქართული ბუხჰალტერიის კურსები**
ორივე სქესისთვის, წლოვანობის განურჩევლად
**ალ. გ. საათაშვილისა**
ბუხჰალტერიის სწავლა, კანტორის საქმის ცოდნა და სხვა კომერციული საგნების შეთვისება მოწყობილია პრაქტიკულად. ახალი მეთოდით 4 თვიანი კურსის შესწავლა შეიძლება 3 თვეში. წესდების გაგება და კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღ. 5—8 საათამდე. თფილისი, დუშეთის ქ. სახლი № 9 (წყნეთის ქუჩასთან ახლოს, 1-ლი უბანი, ტრამვაის ვაგონი № 5 და 9). (4—4)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, შესახვევი, № 1.